# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 10 მარტი 1998 №34 (569) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ იქნება ოღონდ ბუნტი, ნუ იქნება თოჯინა!

## ვინ გახდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი?

ცხადზე ცხადია, ქართულ ფეხბურთს ახალი მესაჭე სჭირდება — კანონიერი მესაჭე. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახლანდელი თავკაცი, ალექსანდრე ჩივაძე კანონიერი პრეზიდენტი კია, მაგრამ მას ჯერ მხოლოდ ფედერაციის რეგლამენტი უმაგრებს ზურგს და არა ამომრჩეველთა მხარდაჭერა.

24 ივლისს საქართველს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაა დანიშნული. ზაფხულის ამ ცხელ დღეს უნდა გაირკვეს, ვინ წარმართავს მომავალში ქართული საფეხბურთო პოლიტიკის ხომალდს. ფედერაციის პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი მითქმა-მოთქმამ გასცა — მერაბ ჟორდანია, ილია დათუნაშვილი, ნუგზარ ფოფხაძე, რამაზ გოგლიძე, დემურ მიქაძე და თქვენ წარმოიდგინეთ, ტყუპების უფროსი ძმა რეზო არველაძეც კი.

ამაგრებს, ზაფხულში დასვენებული ქართული გუნდები ევროტურნირებს მოდუნებულნი ხვდებიანო. ამ ლოგიკით, სხვა რომ არა ვთქვათ, მოუმზადებელი ეგებებიან ევროთასებს გერმანიის, ესპანეთის, იტალიის და საფრანგეთის გუნდები, ის კლუბები, რომელთა შორისაა სწორედ თასების მფლობელნი საძიებელი. თუ ყრილობის მონაწილენი ფედერაციის სურვილის დაცვით შეირჩა, ერთ იურიდიულ პირს — ერთ ორგანიზაციას ერთი მანდატი ერგეალურად შესწევს უნარი, წარუძღვეს ქართულ ფეხბურთს — აცხადებს ჟორდანია. ერთ-ერთი ასეთი თავადაა.

„დინამოს“ პრეზიდენტის წისქვილზე წყალს ამ კლუბში ნალევაწი წლები ასხამს. სხვა რომ არა ვთქვათ, დღეს რომ საქართველოს ნაკრებს ძლიერ ევროპულ კლუბებში მოთამაშე რამდენიმე ლეგიონერი ჰყავს, მისი დამსახურებაცაა. ახლა ბევრი ამბობს, ის დღე დაიქცა, გიორგი ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიში“ რომ გადავიდაო. მაგრამ ესეც გავიხსენოთ, რა თანხად მიჰყიდა გიო „დინამომ“ „სიტის“. 3 200 000 დოლარს იმხანად ქართველ ფეხბურთელში ბევრი არ გადაიხდიდა. ჟორდანიას გაკვაჭული საქმე საერთაშორისო საფეხბურთო ბაზარზე ქართული ტალანტის დაფასება იყო. რამდენმა რესურსმა გაყონა ბოლო წლებში საქართველოდან, ბევრი გაყიდულა თავის ფასში?


მერაბ ჟორდანია


ალექსანდრე ჩივაძე


ილია დათუნაშვილი

კანდიდატები თავად ფედერაციამ გათქვა და ახლა საგაზეთო ინტერვიუებიდან ცდილობს თითოეულის აზრის, პოზიციის გამოცნობას. ვერაფერს იტყვი, ფედერაციისგან გონივრული ნაბიჯია, მაგრამ არავინ იცის, ეს საქმე როგორ შემოტრიალდება.

კატეგორიულ უარზე ცოტა თუა. უმეტესობა არჩევს თქვას — ვნახოთ, ჯერ არ მიფიქრია, არ გადამიწყვეტია, საქმე თუ ასე და ისე მოეწყო, იქნებ კენჭიც ვიყაროო. მოკლედ, ლოდინის პოლიტიკას ამჯობინებენ, მაგრამ, რა ვუყოთ, თუ ესეც მათი საქმის ნაწილია. სიმართლე რომ ვთქვათ, ჯერ ამ ხალხის კანდიდატებად დასახვაც არასწორია. ასე იქნება მანამ, სანამ მათ კანდიდატურას თავად ან ვინმე არ წამოაყენებს. ვიდრე ყველა კანდიდატი თანაბარ მდგომარეობაშია, მათ შანსებზე პროგრამები მოახდენენ გავლენას. გასაგებ მიზეზთა გამო პროგრამა ჯერ არც ერთს გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, არ გამოუმზეურებია. ამიტომ მათზე პრესაში გამოთქმული მოსაზრებებით თუ ვიმსჯელებთ.

დავიწყოთ იმით, ვინც უკვე დაუფარავად აცხადებს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში კენჭს ვიყრიო. ასეთი ჯერ მხოლოდ ილია დათუნაშვილია.

დათუნაშვილის პროგრამის ძირითადი თეზისი ალბათ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობის ათამდე შემცირება და გაზაფხული — შემოდგომის სისტემაზე გადასვლა იქნება.

სეზონურობის შეცვლისა რა მოგახსენოთ. ეს აშკარად ძველებური აზროვნების გადმონაშთი და ზოგადქართული თვისების გამოვლენაა — ახლებური მიდგომა პირიქითობას რომ გულისხმობს. დათუნაშვილის სურვილს ვერც ის არგუმენტი ბა. ამ შემთხვევაში ვეტერანთა კავშირის კანდიდატს მხარდამჭერები შემოეცლება.

ცხადზე ცხადია, პრეზიდენტობის კანდიდატს გულშიც რომ ჰქონდეს ამოჭრილი ათგუნდიან ჩემპიონატზე გადასვლა, სურვილი წინასწარ არ უნდა გააცხადოს. ძნელი მისახვედრი არაა, ამ იდეას გუნდები ხალისით არ დაუჭერენ მხარს. სუსტთა პოზიცია აქედანვე ნათელია. განსხვავებული აზრი, ალბათ, არც ძლიერებს ექნებათ. ყოველ მატჩში თავ-პირის მტვრევა არავის აწყობს. ერთმა ყველასგან პატივდებულმა მწვრთნელმა დაუფარავად თქვა, სუსტი, იოლადმოსაგები თამაშიც ხომ უნდა მქონდეს, ბიჭებმა შვება რომ იგრძნონო. ფედერაციის არგუმენტიც ეს იყო. ამ ნოვაციას არც კლუბები შეეგებებიან დიდი ენთუზიაზმით.

გუნდების რაოდენობის შემცირება დეკლარაციით კი არა, თავისთავად უნდა მოხდეს. კლუბებს უნდა დაუწესდეთ წლიური საწესდებო კაპიტალი, სტადიონების, ბაზების მოწესრიგება და, თუ ამ პირობას თექვსმეტივე შეასრულებს, ღმერთი, რჯული...

ათგუნდიანი ჩემპიონატის გამართვის მოწადინე ყველაზე მეტად „დინამო“ და მისი პრეზიდენტი უნდა იყოს. სწორედ დინამოელები ჩივიან, ყოველი ევროპული მარცხის შემდეგ ჩემპიონატში მეტი დაძაბულობა თუ არ იქნა, ყოველთვის ასე დაგვემართებაო.

გუნდების რაოდენობის შეკვეცისა რა გითხრათ და, მერაბ ჟორდანიას გეზი პრეზიდენტობის საერთო კანდიდატსა და სახელმწიფო შეღავათებზე აუღია. უდავოა, ჟორდანია თავისი საერთაშორისო კონტაქტებითა და გამოცდილებით ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია.

— უნდა მოვიდეს კაცი, რომელსაც რე-

თუკი მერაბ ჟორდანიას ასეთი რეპუტაცია „დინამოში“ მუშაობამ შეუქმნა, ახლაც ხელისშემშლელი ფაქტორი სწორედ ისაა. ცხადია, ჟორდანია ფედერაციის პრეზიდენტი რომ გახდეს, მაინც იმ საქმის, რომელსაც ნიჭი და ენერგია დაახარჯა — „დინამოს“ — ერთგული დარჩება. ეს კი, გინდა არ გინდა, ობიექტურობის გრძნობას აჩლუნგებს, რაც კონკურენტ კლუბთა თავკაცობაში უნდობლობას თესავს. ამას გრძნობს თუ რაა, „დინამოს“ პრეზიდენტი ერთიანი კანდიდატის წამოყენების მომხრეა. იგი იმედოვნებს, რომ ფედერაცია, კლუბები და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. რა გამოვა ამ საქმიდან და ვინ იქნება საზოგადო რჩეული, ძნელი სათქმელია, მაგრამ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი თავად ალექსანდრე ჩივაძეცაა.

საშა ჩივაძე პრეზიდენტობაში ჯერ ისევე ნაკლებგამოცდილია, როგორც თავის დროზე ნაკრები რომ ჩააბარეს, მწვრთნელობაში იყო. მართალია, ჩივაძე 7 წელია, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, მაგრამ მეტწილად ნაკრებს წვრთნიდა და იმჟამად ვინ პრეზიდენტობდა და ვინ ვიცე-პრეზიდენტობდა, ყველამ კარგად იცის. და მაინც, ჩივაძეს ზურგი გააჩნია. ეს ზურგი ფედერაცია და ის კლუბებია, რომლებსაც ქართულ საფეხბურთო მეურნეობაში კარდინალური ცვლილებების პერსპექტივა არ ხიბლავთ.

ვინ იქნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი? ვინც უნდა იყოს, თოჯინად არ უნდა იქცეს.

პრეზიდენტად უნდა მოვიდეს კაცი, რომელსაც რეალურად შესწევს უნარი, წარუძღვეს ქართულ ფეხბურთს.

**ვახტანგ ბზიძაძე**

# ირანმა გვი-განა

ირანელებისას რას გაიგებ. ჯერ იყო და დიდი ამბით გვეპატიჟებოდნენ, არიქა, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ოთხთა საერთაშორისო ტურნირს ვმართავთ და ჩვენივე ხარჯებით თეირანს ჩამობრძანდითო, ახლაა და — იცით, თქვენი ტურნირში მონაწილეობა გადავიფიქრეთ, ბოდიში, მაგრამ ქართველებს განა გვიჯობსთ — ასე შემოთვალეს. მოკლედ, გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში უხასიათოდ დაგვიხვდნენ — უკვე დაგეგმილი, თითქმის ასპროცენტიანი ორი ამხანაგური მატჩი ჩაიშალა. თუმცა, ირანელთა უარით როდი ამოიწურა ეროვნული გუნდის შესარჩევისწინა ამხანაგურების ლიმიტი. ფედერაციაში ჩილედან ფაქსი მოვიდა. 28-29 აპრილს ერთმანეთს გავეჯიბროთ, ყველანაირ ხარჯებს ჩვენს თავზე ვიღებთო. ჩვენებიც ყაბულს არიან, ოღონდ ამერიკელთათვის თამაშის თარიღის გადახინჯვა უთხოვნიათ. საქმე ისაა, რომ აპრილის ბოლო რიცხვები ფიფას მიერ დადგენილ ამხანაგურ მატჩთა კალენდარში არსად ფიგურირებს. ქართველებიც შიშობენ, ამხელა გზაზე ულეგიონეროდ ჩასვლას რა აზრი აქვსო. ყველაფერი ამ კვირაში გაირკვევა.

# მუდამ Coca-Cola საქართველოს ჩემპიონატს სპონსორი გამოუჩნდა

პრაქტიკულად გადაწყვეტილი საქმეა — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სპონსორი მსოფლიოში უძლიერესი ფირმა — „კოკა-კოლა“ იქნება. ზოგიერთი ნიუანსის გარდა კონტრაქტის ყველა დეტალი შეთანხმებული ყოფილა, ეგაა, ფირმის ცენტრალური ოფისიდან მენეჯერის ჩამოსვლას ელიან, რათა დღე-დღეზე ყველაფერს საბოლოო სახე მიეცეს. ფედერაცია თურმე ბევრს არაფერს ითხოვს — წელიწადში ერთი-ორი შეკრების დაფინანსება, ლაგოდეხში სანაკრებო ბაზის კეთილმოწყობა და ზოგიერთ წყალწაღებულ კლუბთა ოდნავი დახმარება უკვე შეღავათია. სანაცვლოდ ყველა სტადიონზე „კოკა-კოლას“ სარეკლამო ფარები განთავსდება. რაღა თქმა უნდა, შედგება სხვა სარეკლამო გარიგებებიც.

# დედამიწა მართლა ბრუნავს: მარადონა მეშვიდედ ბრუნდება

„ოლ ბოისი“ ჩემთვის წყნარი ადგილია, აქ ხომ ბატისტასთან ერთად ვიქნები, თან ეს კლუბი ჩემი სახლის სიახლოვეს ბინადრობსო, ამცნო ჟურნალისტებს დიეგო მარადონამ, რომელიც თურმე ფეხბურთში მორიგ, მეშვიდედ დაბრუნებაზე ფიქრობს. ფეხბურთის ნამეფარი დიეგო ზემოთ ნახსენებ არგენტინის მეორე დივიზიონის კლუბის მიპატიჟებას შეუგულიანებია. „მე არ მჭირდება ძალდატანება, მხოლოდ სიამოვნების მიღებისა და ამ კლუბის დახმარების სურვილი მამოძრავებს“ — ამტკიცებს 36 წლის მარადონა, რომელმაც ფეხბურთში ბოლო მობრუნება შარშანდელ ოქტომბერს გაასრულა „ბოკა ხუნიორსში“.

„ოლ ბოისში“ კი ერთობ იმედიანად არიან. კლუბის პრეზიდენტი პაბლო ბრეი ირწმუნება, მარადონას ჩვენთან გადმოსვლა 90 პროცენტით გადაწყვეტილი ამბავიაო.

თუ ამ საქმიდან რამე გამოვიდა მარდონა და სერხიო ბატისტა კვლავაც მხარდამხარ იქნებიან ისევე როგორც 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინის ნაკრებში.

# უეინ გრეცკი — 1000



დიდი უეინი სიცოცხლეშივე აქცია ლეგენდად საოცარმა და მიუწვდომელმა რეკორდებმა. თითქოს ეს არ კმაროდა, შაბათს, 7 მარტს, კიდევ ერთმა უდიდესმა მიღწევამ აალაპარაკა ჰოკეის სამყარო: პირველად ნჰლ-ის ისტორიაში მოთამაშემ მე-1000 შაიბა გაიტანა. ასე ასრულდა ამ ისტორიული შაიბის შემგდებ გრეცკის დიდი ხნის ოცნება. 37 წლის ვეტერანს კარიერის მიწურულს ერთი სურვილიც აქვს — კიდევ ერთხელ აღაპყროს სტენლის თასი, ამჯერად „რეინჯერსთან“ ერთად.

გიორგი კიკნაძეს სამართლიანად უწოდებენ დინამოელთა ახალგაზრდა ვეტერანს. ჟორა ჯერაც 21 წლის გახლავთ, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში თავის მეშვიდე სეზონს ითვლის. მისი თაობის ბევრი ფეხბურთელი გადაიხვეწა საზღვარგარეთ, ახლა უცხოელთათვის იღვწიან, ჟორიკა კი ჯერჯერობით „დინამოს" ერთგულია. როდემდე გაგრძელდება ასე? ალბათ, არც ისე დიდხანს, რადგან კლუბის ხელმძღვანელებმა კარგად უწყიან — რაც დრო გავა, მით უფრო დაეცემა კიკნაძის კლასი.

ბევრი დაგვეთანხმება, რომ გიორგიმ რიგიანი და ჯიგრიანი ბურთაობა იცის. მაგალითად იტალიელებთან თამაშიც გამოდგება. მინდორზე ნამდვილი კაპიტანი იყო. თავადაც იხეირა, გუნდიც ახეირა და გულშემატკივარიც გაახარა. დღეს იგი უპრეტენზიოდ აკეთებს საქმეს, მწვრთნელებიც უსიტყვოდ ენდობიან, მაშინაც კი, როცა მთლად სასურველ ფორმაში ვერ არის. ახალგაზრდული ასაკიდან გამოსული ეროვნული გუნდის წევრად იქცა. ახლა მასზეა დამოკიდებული, თუ ივარგებს, ცხოვრებაშიც გაუმართლებს.

დიღმის ბაზაზე გიორგის მაშინ შევეხმიანეთ, როცა სამტრედიული მარცხისთვის ხელმძღვანელთაგან შეხურებული დინამოელები წვრთნას მორჩნენ და შინ წასვლას აპირებდნენ. საუბარიც, რა თქმა უნდა, თავდაპირველად „დინამოს" შეეხებოდა.

# სილამაზის და სიახლის თაყვანისმცემელი

**— გიორგი, შენი აზრით, რა ემართება „დინამოს"?**

— არაფერი. სამტრედიაში წაგებით ქვეყანა არ დაქცეულა. კი, უნდა მოგვეგო, ვალდებულებიც ვიყავით, მაგრამ... ისე, ეს ყველაფერი კანონზომიერი პროცესია. ყოველივე თაობათა ცვლას მოსდევს. მერამდენედ იქმნება ახალი გუნდი. სამი წლის წინანდელი შემადგენლობა რომ შენარჩუნებულიყო, წარმოიდგინეთ, ახლა რა დონეზე ვიქნებოდით. უფრო მობილურები და ბრძოლისუნარიანები. თაობათა ცვლა ბევრს ნიშნავს. ახალმოსულს რომ გაუგო, დრო გჭირდება. მოკლედ, შეთამაშება-შეჩვევას სულ ცოტა 6-7 თვე უნდა.

**— ბევრის აზრია, კიკნაძემ ძლიერ მოუმატაო. ზოგიც საპირისპიროს ამტკიცებს. შენ როგორ გგონია, რომელია სიმართლე?**

— გამოცდილება მართლაც მომემატა, მაგრამ ვატყობ, უკვე ველარ ვიზრდები. ჩემი აზრით, უფრო უკუსვლა მეწყება. ამის მიზეზსაც მოგახსენებთ. ჩემპიონატში ორი დაძაბული თამაში თუ გამოერევა, ისეთი, მეტოქე რომ არაფერს გითმობს. ამათ ევროთასები და ნაკრების მატჩები მიუმატეთ და რა გამოვა, არაფერი. სრული დატვირთვით და მობილიზებით წელიწადში სულ 5-6 თამაშს ატარებ. ეს კი სულაც არ არის საკმარისი. წამყვანი საფეხბურთო ქვეყნები ავიღოთ. იქ ფეხბურთელს მოდუნების უფლება არ ეძლევა. გამუდმებული ბრძოლაა, ყველაფერი თავბრუდამხვევ ტემპში კეთდება. ახლა ჩვენში რა ხდება — ისეთი თამაშები გვქონია, 9:0 მოგვიგია და ხეირიანად არც გავოფლილვართ. ხშირად მინდორზე დავდივართ და ისე ვიგებთ თამაშებს, ეს კი ფეხბურთელზე დამღუპველად მოქმედებს. სხვას თავი დავანებოთ, ფსიქოლოგიურად განადგურებს. ნელ ტემპში თამაშს ვეჩვევით და როცა სხვები პროგრესს განიცდიან, ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით. მეტოქე რომ სწრაფად გეთამაშება, ბოლომდე გებრძვის, შენც იძულებული ხარ, ისევე შეებრძოლო. თუ გინდა, რომ გაიმარჯვო, უნდა აჯობო. როცა ეს სისტემატურად ხდება, შენც ეჩვევი. ზრდაც არ დააყოვნებს. კლასი აგიმაღლდება. მიზეზი ერთია — დაბალი დონის ჩემპიონატი. ასეთ ჩემპიონატში თამაშმა „აიაქსიც" დაღუპა. ხომ ყველამ ნახა, რა იოლად მოუგო „სპარტაკმა".

**— როგორ გგონია, რატომ დამარცხდა „აიაქსი"?**

— „სპარტაკი" გამართულ ფეხბურთს თამაშობს. ამას რუსების ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებზე ვამბობ. თუ მათ სივრცეები არ შეუზღუდე, ბლომად სახიფათო მომენტებს შექმნიან. არამარტო „აიაქსს", ნებისმიერ გუნდთან გააკეთებენ 3-4 სახიფათო იერიშს. სივრცეები რომ ვერ შეზღუდეს, სწორედ ამან დაღუპა „აიაქსი". ჩემი აზრით, სამი მცველით თამაში იყო უპირველესი შეცდომა. დანარჩენი კი ერთმანეს მიეწყო. „აიაქსმა" მაშინ ვერ ჩართო სიჩქარეები, როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო. ზოგადად კი უეფას თასის ნახევარფინალში ვერ გახვალ.

**— ბარემ ჩემპიონთა ლიგასაც გადავხედოთ და „იუვენტუსი" — „დინამოს" მატჩზეც თქვი შენი აზრი. ამასწინათ თანაგუნდელებს ამ საკითხზე დიდი კამათი გქონდათ. ბოლო-ბოლო რაზე შეთანხმდით. ვინ გავა შემდეგ წრეში?**

— იცით, ძნელი სათქმელია. გავითვალისწინოთ, რომ კიეველებს ნულოვანი ფრეც ხელს აძლევთ და ისინი შეიძლება სწორედ ამან დაღუპოს. თუ „დინამომ" კიევში ყაიმზე ითამაშა, „იუვენტუსი" დაჩაგრავს. „იუვე" საუკეთესო კლუბად მიმაჩნია. ჰყავთ დიდი შემსრულებლები და ჩინებული სტრატეგი. კიეველები თავიანთ სიძლიერეს კოლექტიური თამაშისას ავლენენ და ეს საკმაოდ კარგადაც აქვთ დამუშავებულ-შესწავლილი. მითხარით, რომელია კიევში ვარსკვლავი. ვითომ შევჩენკო. არა მგონია, ინდივიდუალურად ძალიან ძლიერი იყოს. სამაგიეროდ, ფიზიკურად ჩინებულად არიან მომზადებულნი.

იტალიელები თავიდანვე მიაწყდნენ შავკოვსკის კარს. შეტევაზე უკეთესი რაღაა, მაგრამ საჯარიმოში 10 კაცი რომ დაგიხვდება და ამათ შემტევებიც ემატებიან, ბურთის გატანა საძნელო ხდება. „იუვენტუსმა" კიეველთა გამოტყუება ვერ შეძლო. ისე, არც უცდიათ. მეტოქის მოხრჩობა მათივე საჯარიმოსთან მოინდომეს, მაგრამ რა გამოვიდა, ხომ ნახეთ.

**— თავად რომელს გულშემატკივრობ?**

— კიევის „დინამოს".

**— რატომ?**

— იმიტომ რომ ეგენი რაღაც ახლებურად, საინტერესოდ თამაშობენ, თანაც უკვე რამდენი სენსაცია მოახდინეს. მე კი ნებისმიერი სიახლე და სენსაცია მიზიდავს.

**— კარგი, ლიგას შევეშვათ და ეროვნული გუნდის შანსებზეც ვთქვათ ორი სიტყვა. დავძლევთ კონკურენტებს, თუ ისევ უწონდელი განმეორდება?**

— ერთი რამ ნათელია — ახლა მეტი შესაძლებლობა გვაქვს, ვიდრე ადრე. იტალიასთან და ინგლისთან დამარცხებები გულშემატკივარმა უკვე შეგვინდო, მაგრამ ღმერთმა არ ინებოს და მსგავსს აღარ გვაპატიებენ. ჩვენ აქედანვე უნდა გავიაზროთ, რომ იოლად დასაძლევი არც ერთი მეტოქე გვეყოლება. ყველასთან სრული მობილიზებით უნდა გავიდეთ. მონდომებას, თავდადებას ადრინდელ შესარჩევებში დაგროვილი გამოცდილებაც მიემატება და იმედია, საწადელსაც ავისრულებთ.

**— შენ ისე ლაპარაკობ, მოწინააღმდეგეთა შესახებაც ჩამოყალიბებული გექნება აზრი. მოდი, ნორვეგიელებით დავიწყოთ და სხვებზეც ვთქვათ.**

— ყველაზე რა მოგახსენო, ნორვეგიას კი ასე თუ ისე ვიცნობ. მაგათი კოზირი მეორე სართულზე თამაშია. ჰაერში კარგად ირჯებიან და ამ მხრივ შეუძლიათ, პრობლემები შეგვიქმნან. დაბლა შედარებით უჭირთ. ისე არავინ გამიგოს, თითქოს ბურთის გორება და პასი ეშლებოდეთ, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, უფრო ათლეტურებს სხარტი მოძრაობები უჭირთ. სწორედ ამაში უნდა დავჯაბნოთ, ჩვენი კოზირები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**— ნორვეგიამ ჰაერში რომ დაგვამარცხოს?**

— მერწმუნეთ, პირწმინდად ვერც მეორე სართულზე მოგვიგებენ. ჩვენც გვყავს თავით თამაშის მცოდნენი. გემახსოვრებათ, ნორვეგიული „მოლდეს" თბილისში სტუმრობა. თავიდან რომ შევხედე, გული გამისკდა, ერთი თავით მაღლები იყვნენ, მაგრამ ამით რა მოიგეს. მთავარია, საჭირო მომენტში სწორი პოზიცია შეურჩიო. აქ არ იყო მოლდელი რუდი, რომელიც ახლა „შეფილდ უენსდეიში" თამაშობს და ნაკრების წევრია. რა დიდი კლასით გამოირჩეოდა. არა მგონია, დიდად მოემატებინა. ჩემი აზრით, ნორვეგიელთა დაჩაგვრა შეგვიძლია.

ყველაზე ცუდად ბერძნებს და სლოვენებს ვიცნობ. ამათთან არავითარი შეხება არ მქონია და არც თამაშები მინახავს. ისე კი ვიცი, რომ ათენში ძალიან გაგვიჭირდება, იქაური გულშემატკივრების მხარდაჭერით ბერძნები გაორმაგებული ენერგიით შეგვიტევენ. ისე, ორივენი ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. ლატვიელები და ალბანელები დაგვრჩნენ. ეს ისეთი გუნდებია, რომლებთანაც წაფორხილების უფლება არ გვეძლევა. მათთან ქულათა მაქსიმუმი იგეგმება, მაგრამ სიურპრიზიც ხომ მოსალოდნელია. ლატვიელები ძირითადად კონტრშეტევაზე თამაშობენ და საკმაოდ მწარედაც იჩხვლიტებიან. თუ გაგიტანენ, მერე გაქვითვა ჭირს. ალბანელები ტექნიკურები არიან, მაგრამ მთლად გამართულ ფეხბურთს ვერ თამაშობენ და თუ არ შევცდებით, მათი გამოჭერა ადვილად შეიძლება.

**— მოკლედ, გიორგი კიკნაძე გვაიმედებს ხომ?**

— ღმერთმა იმედი არ მოგვიშალოს. მე მხოლოდ ჩემს აზრს მოგახსენებთ, თორემ სექტემბრამდე რა იქნება, არავინ უწყის. ერთია საფიქრალი, ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა და ძნელად განსაჭვრეტია, მეტოქე მახეს სად დაგიგებს.

**— ბოლოს შენს მომავალზეც გვითხარი რამე. კიკნაძეს როდის ვიხილავთ უცხოურ კლუბში?**

— სეზონს „დინამოში" ჩავამთავრებ. მერე, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ვიბრძოლებთ. თუ გამოვიდა, ხომ კარგი, არადა, ჩემს გზას ვეწევი და ადგილს ახალბედებს დავუთმობ.

**— კარიერის გაგრძელებას რომელ ქვეყანაში ისურვებდი?**

— ესპანეთში ან ინგლისში. ამ ქვეყნების ფეხბურთში შეტევას უფრო სცემენ თაყვანს. ფეხბურთელს მეტი თავისუფალი სივრცე უჩნდება სამოძრაოდ. რა თქმა უნდა, შეტევაში სილამაზეც მეტია.

**— როგორ გგონია, იტალიელები და გერმანელები არ უტევენ, ან იმათთან ნაკლები სილამაზეა?**

— რა ვქნა, მე ასე ვფიქრობ. იტალიაში და გერმანიაში მეტად კონტაქტურ ფეხბურთს თამაშობენ. მიიღებ ბურთს და იქვე მოგახრჩობენ. არა, ასეთ ფეხბურთში ვერ დავმკვიდრდები და ტყუილად დრო რატომ უნდა დავკარგო, დასაჯდომად „დინამოშიც" მოვიცლი.

**— ყველას საყრდენ ნახევარმცველად წარმოუდგენიხარ. „დინამოშიც" და ნაკრებშიც ამ ადგილზე თამაშობ. ამ ამპლუაში საუკეთესოდ ვის დაასახელებ?**

— ინსი, დესაი, რედონდო. ამათგან უპირატესობას ინგლისელს მივანიჭებ. იგი ერთნაირად ძლიერია, როგორც ჩამშლელი და როგორც შემქმნელი. ვაჟკაცობა ხასიათში აქვს გამჯდარი და ორთაბრძოლისას უკანდახევა არ სჩვევია.

**— მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნია.**

— ახლა ძნელია ხელაღებით თქვა, მავანი ყველას სჯობსო. რამდენი ვარსკვლავი კაშკაშებს, მაგრამ ესენი მარადონასთან ახლოსაც ვერ მივლენ. ის სიძლიერის ეტალონი იყო და მისი დარი ძნელად თუ გამოჩნდება.

მამუკა ძვანტალიანი



დინამოს ახალგაზრდა ვეტერანი გიორგი კიკნაძე საჰაერო ორთაბრძოლებშიც ერთ-ერთი უძლიერესია

## დიადორა იტალიაში გველის

ყველას ახსოვს გახმაურებული „კაპას" საქმე. იტალიური ფირმა ჩვენმა ფეხბურთის ფედერაციამ რომ გააცურა, ეს ლამის საერთაშორისო სკანდალად დაგვიჯდა. მაშინ სირცხვილისგან ღმერთმა და კეთილმა კაცმა გვიხსნა.

ეროვნული ნაკრების ჩაცმა-დახურვის საკითხი კვლავ დღის წესრიგშია. ამასთან დაკავშირებით ქართველთა დელეგაცია ალექსანდრე ჩივაძის მეთაურობით ხვალ იტალიას გაემგზავრება იქაურ ფირმა „დიადორასთან" მოსალაპარაკებლად. მოსალოდნელია, რომ ჩვენები აპენინებზე „ლოტოს" წარმომადგენლებსაც შეხვდნენ.

## დინამო იბერიას მცხეთაში ეთამაშება

სამტრედიაში, თასის მეოთხედფინალში მეორეჯგუფელ „იბერიასთან" 0:1-ით დამარცხებულ თბილისის „დინამოს" სარევანშოდ საქმე გაურთულდა — პაიჭაძის სახელობის სტადიონზე გაზონი განუახლებიათ და მარტის ბოლომდე ქვეყნის ცენტრალურ არენაზე თამაში, თურმე არასასურველი ყოფილა. ამასთან დაკავშირებით „დინამო" — „იბერიას" საპასუხო მატჩი გადაიდო. იგი 11 მარტს გაიმართება მცხეთის ცენტრალურ სტადიონზე.

## ახალკაცის სახელობისა

როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, თბილისი ოთხთა საერთაშორისო ტურნირის მასპინძელი ქალაქი გახდეს. თურმე ჩვენებურები ეროვნულ ნაკრებთა მონაწილეობით ნოდარ ახალკაცის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშებას აპირებენ. ჯერჯერობით იდეა განსჯის პროცესშია, ტურნირის ჩატარების თარიღები კი — უცნობი. ფეხბურთის ფედერაციის მოხელეებს გადაწყვეტილი აქვთ, ამ წინადადებით უეფას მიმართონ, რათა მორალურ-ფინანსური მხარდაჭერა მიიღონ, თორემ ფედერაციის ბიუჯეტი დიდი მასშტაბის ტურნირის ორგანიზაციას ვერ აუვა.

## ყოვლის შემძლეა ბოლნური ჯვარი

ბოლოდროინდელ ბოლნისურ ამბებზე არაერთხელ გვითქვამს. ახლა ორ ახალ ინფორმაციას გთავაზობთ. ერთი — „სიონის" ხელმძღვანელებმა მოაბეს თუ არა თავი გუნდის პრობლემებს, დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, ისინი მხოლოდ დღეიდან შეუდგებიან სამეორეწრეო სამზადისს. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება „სიონის" მიზნები. პირველივე სამი თამაში ბოლნისელებს შესაბამისად „ბათუმთან", „კოლხეთთან" და თსუ-სთან აქვს. არც ის გაგაოცებთ, თუ ვიტყვით, ქვემოქართლელებს მხოლოდ სასწაული თუ იხსნის პირველი ჯგუფის დატოვებისგან. მათ ერთიღა დარჩენიათ — ბოლნურ ჯვარს შეევედრონ. ახლა მეორე — „სიონი" წრეებს შორის შუალედში შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ შორის ლიდერმა გოჩა ტრაპაიძემაც, რომელიც ამჟამად ჩეხეთშია ერთ-ერთ იქაურ გუნდში და ფედერაციისგან უცხოეთში თამაშის შესაბამის ნებართვას ელის. რაც შეეხება „სიონის" ახალწვეულებს, ანზორ გრძელიძეს ისინი ჯერაც არ შეუგულებია.

# ჰოლანდიელი მატადორები და გერმანელი ხარი

დამნაშავენი მსაჯი და მწვრთნელი არიან — მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრებმა ბარსელონაში 0:3 შეურაცხყოფა ვერ გადამალეს დაწყების საკუჭნაოში.

გერმანელი მწვრთნელი, იუპ ჰაინკესი უთავმოყვარეოა და შეტევის ეშინია, იდეაგამოცლილია. მან კატალონიელი მოწინააღმდეგე ხუთი ქულით გაუშვა წინ.

— ეს თვითმკვლელობა იყო — თქვა თავდამსხმელმა პრედრაგ მიატოვიჩმა — ადრე თუ გვიან „ბარსა“ გაგვიტანდა.

უგოლო პირველ ტაიმში „რეალმა“ თამაშის სადავეები დათმო და თუკი ცალკეული, თუნდაც ძლიერ მწვავე მომენტები შექმნა, ეს მასპინძელთა დაცვის შეცდომების ბრალი იყო.

შემდეგ, მეორე ტაიმის დასაწყისში მსაჯმა მოედნიდან ფერნანდო იერო გააძევა და ჰაინკესმაც დაცვის გაძლიერების მიზნით თავდამსხმელების შეცვლას მიჰყო ხელი. საბოლოოდ „ბარსელონამ“ ყოველგვარი უპირატესობა იგდო ხელთ და ბოლო 10 წუთში ორი გოლიც გაიტანა.

— თავდასხმაში მარტო ვიყავი, რის გამოც მოწინააღმდეგის კართან ვერაფერს გავხდით. ჩვენ მოგებაზე ფიქრს თავი დავანებეთ და შედეგად წაგება მივიღეთ — განაცხადა მიატოვიჩმა, რომელიც ჰაინკესმა რაულის შეცვლიდან ერთი ხნის შემდეგ ასევე სათადარიგოთა სკამზე დასვა.

— ვერც ჩემი შეცვლისა გავიგე რამე და ვერც რაულის შეცვლისა. მე რომ მწვრთნელი ვყოფილიყავი, ამ თამაშში ცვლილებებს არ შევიტანდი — დასძინა ფორვარდმა.

მიატოვიჩის ნათქვამი ორიგინალური აზრი არ გახლავთ. მთელი ესპანეთი ასევე სჯის. ერთმა ჟურნალისტმა ჰაინკესზე ასე დაწერა: „იგი გოლის არგაშვებას ცდილობდა და ამ სურვილმა სამი გააშვებინა“.

რაულიც გვარიანად აკრიტიკეს.

სამი წელიწადია რაული „რეალის“ ოქროს ბიჭად ითვლება, მაგრამ ბოლო თვეებია ოქროს ბრწყინვალება დაეკარგა. თავად მადრიდის პრესა, რომელიც ამ 20 წლის ბიჭზე ყოველთვის აღმატებით წერდა, ამჯერად მკაცრი იყო, თუმცა ყველაზე მწარე-მწარე სიტყვები დედაქალაქელმა ჟურნალისტებმა მსაჯზე, სელინო გარსია რედონდოზე თქვეს.

„სამეფო გუნდის“ პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა „განზრახ ცუდად სჯისთვის“ ოფიციალური სარჩელის შეტანაც დაიქადნა. მას იმედი აქვს, რომ ესპანური ფეხბურთის პატივცემული გვამები მსაჯ რედონდოს დაუსჯელს არ დატოვებენ.

„ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტმა ხუან გასპარმა მსაჯის შესაძლო დასჯის წინააღმდეგ გაილაშქრა.

გასპარი, ცხადია, მარტო „რეალის“ დამარცხებით არაა გახარებული. მას პრეზიდენტი ხოსე ლუის ნუნიესი დაუტოვეს თანამდებობაზე. ნუნიესს უნდობლობას უცხადებდნენ, მაგრამ ვერ გამოუცხადეს. „ბარსელონას“ შიდა დაპირისპირება მისი გამარჯვებით დასრულდა — არჩევნებში მოიგო.

ნუნიესმა მოგვიანებით განაცხადა, მე რომ თანამდებობიდან გადავერჩიეთ, მწვრთნელი, ლუის ვან გაალიც გადადგებოდაო. გახსოვთ, ვან გაალს რომ უკიჟინებდნენ ცუდი შედეგები გაქვს და თანამდებობიდან წადიო? ახლა, „რეალთან“ 3:0-ის შემდეგ ვინ რას ეტყვის.

ვან გაალს ხვალ საღამოს „ბარსასთან“ ერთად პირველი ჯილდოს მოგებაც შეუძლია. ეს ჯილდო იქნება ევროპის სუპერთასი, ოღონდ საამისოდ კატალონიის გუნდმა დორტმუნდში შინ მოგებული 2:0 არ უნდა გაატანოს ქარს.

ჰოლანდიელი ალბათ თანამემამულე რუუდ ჰესპითაც ხარობს. იგი მან ვიტორ ბაიას შემცვლელად გაურკვევლობიდან მიიყვანა და „ბარსას“ მთავარ მეკარედ აქცია. ამაში ჰესპს და ვან გაალს ბაიას ტრავმა დაეხმარა.

— „რეალთან“ ჩემი ცხოვრების საუკეთესო შეხვედრა ჩავატარე — ამბობს ჰესპი — ასეთ გარემოში ცუდად თამაში შეუძლებელია. ისეთი თამაშის შემდეგ, შაბათს რომ იყო, ღამე რა დამაძინებდა.



ღამენათევი რუუდ ჰესპი

დარჩა 93 დღე

## ფუტიქსის დროშით

# იუჰანსონი: ჩვენი ბრალია!

უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი იმავდროულად ფიფას მხრიდან მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცადაა დანიშნული. სწორედ ამ შვედმა ჩინოსანმა აღიარა, რომ მოახლოებული პირველობის მატჩებზე დასასწრები ბილეთების განაწილებაში დაშვებული შეცდომები მისი კომიტეტის ბრალია.

იუჰანსონმა აღთქმა დადო, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა გამოსავალი ვნახო და გულშემატკივრებს დამატებითი ბილეთები მივაწოდოო. მანვე დასძინა, რომ ეს მეტისმეტად რთულად გადასაჭრელი ამოცანაა.

ფიფას 68 წლის ვიცე-პრეზიდენტმა, რომელსაც თავისი თანამდებობისთვის სიტყვა ვიცეს ჩამოშორება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, თქვა:

— ბილეთების პრობლემა მე მემკვიდრეობით მერგო რამეთუ ამ კომიტეტის ხელმძღვანელად გილერმო კანედოს გარდაცვალების შემდეგ, 1997 წლის იანვარში ამირჩიეს. და მაინც, ამით პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას არ ვაპირებ, რადგან მანამდე კომიტეტის ჩვეულებრივი წევრი გახლდით და შესაბამისად, არასწორ გადაწყვეტილებებში ჩემი წილიცაა. დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე გამოსავლის მოძებნა გახლავთ. საჭიროა, ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებს მაქსიმალურად მივაწოდოთ გადარჩენილი ბილეთები, რათა მათ ისინი გულშემატკივრებს გაუნაწილონ. სწორედ ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ პარიზში, ამ დღეებში დანიშნულ შეკრებაზე. შესაძლოა გამოსავლის მონახვა ერთობ ძნელი საქმე გამოდგეს. ასეთ სიტუაციებს კლასიკურად სათქმელად იოლი, გასაკეთებლად ძნელი ჰქვია, რადგან მთელი რიგი პრობლემები, უპირველესად კი უსაფრთხოებაა გასათვალისწინებელი. ასეა თუ ისე, ჩვენ ყველა ღონის ხმარება გვმართებს.

შვეიცარიაში, უეფას ოფისში დაწერილ განცხადებაში იუჰანსონი განმარტავს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც ბევრი ქვეყნის ქომაგებმა საკმარისი რაოდენობის ბილეთები ვერ მიიღეს. იუჰანსონის თქმით, რთული ვითარება გამოიწვია 1996 წლის თებერვალში მიღებულმა გადაწყვეტილებამ ბილეთები 1998 წელსაც იმავე პრინციპით გაენაწილონ, 1990 და 1994 წლებში რომ განაწილდა.

— დღეს მოქმედ სისტემას ახალს ვერ ვუწოდებთ. შევცდით, გვეგონა ფორმულა, რომელიც იტალიასა და აშშ-ში წარმატებით მოქმედებდა, ახლაც გამოსადეგი იქნებოდა, მაგრამ ვერ გავითვალისწინეთ, რომ საფრანგეთში სტადიონებზე გაცილებით ცოტა ხალხი ეტევა, ვიდრე ზემოხსენებულ ორ ქვეყანაში.

იუჰანსონის მიერ გავრცელებული განცხადება ხალხმა მაშინ მიიღო, როდესაც ევროკავშირმა და საორგანიზაციო კომიტეტმა ლამის იყო მოილაპარაკეს მონაწილე ქვეყნების ქომაგებისთვის დამატებითი ბილეთების გამოყოფის შესახებ.

— იმედი გვაქვს, რომ სამსაათნახევრიანი თათბირის შემდეგ ისინი გაიგებდნენ, რა მოეთხოვებათ და როგორ უნდა იმოქმედონ — განაცხადა კომისიის პრესატაშემ სტეფან რატინგმა. საუბარია გასული ხუთშაბათის შეხვედრაზე, რომელიც ბრიუსელში გაიმართა და რომელშიც ევროკავშირის ანტიტრასტული კომისიის წევრებმაც მიიღეს მონაწილეობა. ბრიუსელის შეხვედრაზე თითქოს ბევრი რამ მოგვარდა, ყოველ შემთხვევაში მხარეებმა ამ კვირაში კიდევ ერთი იმედიანი შეკრება დათქვეს.

წინასწარი ვარაუდი ასეთია: ფრანგი ორგანიზატორები შემორჩენილ ბილეთებს მოქექავენ და აპრილში გაავრცელებენ. სხვათა შორის, ამ ბილეთების რაოდენობა შესაძლოა, ამ კვირაშივე გახდეს ცნობილი, მაგრამ ყველა შეგუებულია იმასთან, რომ იგი სასურველზე ერთიორად მცირე იქნება.

კომისია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „აშკარად არაა კმაყოფილი“, მაგრამ რეალობა რეალობაა — ბილეთების დიდი ნაწილი უკვე გაყიდულია.

— კომისიას გული წყდება, რომ მოლაპარაკებათა შესაძლებლობა ერთობ შეზღუდულია, მაგრამ რას ვიზამთ, ბილეთები ძირითადად უკვე გაიყიდა — თქვა რატინგმა — გაყიდული ბილეთების უკან დაბრუნება კი შეუძლებლად მიგვაჩნია.

ევროკავშირმა ორი კვირის წინ მკაცრად გააფრთხილა ფრანგი ორგანიზატორები. მისი აზრით, ისინი არაფრანგ გულშემატკივრებს უბრალოდ ჩაგრავენ, რაც ევროპული კონკურენციის წესების პირდაპირი დარღვევაა.

— ანტიტრასტული კომისია მოითხოვს ბილეთების პატიოსან, დისკრიმინაციის გარეშე განაწილებას — დასძინა რატინგმა.

საქმე და დისკრიმინაცია ისაა, რომ ბილეთის უშუალოდ საფრანგეთში ყიდვის მსურველ უცხოელებს მასპინძელი ორგანიზატორები ფრანგულ მისამართებს თხოვდნენ.

ფრანგ ორგანიზატორთა გენერალურმა დირექტორმა ჟაკ ლამბერმა განაცხადა, რომ ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრა სასარგებლო იყო, მაგრამ უფრო ვრცელი კომენტარისგან თავი შეიკავა.

**ფრანგმა** ფრანგი შეაქო: „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი აღფრთოვანებული დარჩა ბერნარ ლამას თამაშით. ლამა „ვესტ ჰემის“ კარს იცავს და ამ ორი გუნდის სათასო მეოთხედფინალური თამაში 1:1 რომ დამთავრდა, ამაში ლომის წილი დაიდო. „მე რომ საფრანგეთიდან წავედი, ლამა მსოფლიოს ხუთ საუკეთესო მეკარეთა შორის იყო, თურმე ახლაც ასეა. იგი ისე სწრაფია, რომ მის ნახტომებს თვალს ვერც ჰკიდებ — განაცხადა „მონაკოს“ ყოფილმა თავკაცმა — როდესაც ლამა ინგლისში ჩამოვიდა, ფრანგულ ტელევიზიას ვუთხარი „ვესტ ჰემმა“ ოქრო შეიძინა-მეთქი. ის ძალიან თავდაჯერებული ახალგაზრდაა, და რასაც საჯარიმოში აკეთებს, ყველაფერი სწორია.“

**ხორვატიის** ჩემპიონატის მე-20 ტური. ოსიეკი — ზაგრები 1:3, ჰაიდუკი — სლავენ ბელუპო 3:0, სიბენიკი — რიეკა 1:1, სამობორი — ზადარკომერცი 0:0, ვარტექსი — მლადოსტი 2:1, კროაცია — დრაგოვოლიაჩი 1:1. 45 ქულით პირველ ადგილზეა „კროაცია“, 40-ით მეორეა „ზაგრები“, ხოლო 39-ით მესამე ადგილზე „ჰაიდუკია“.

**პოლონეთის** ჩემპიონატის მე-18 ტური. ვიძევი — გროსლინი 2:3, პოლონია — პოზონი 1:0, რუხი — სტომილი 2:1, რაკოვი — პეტროხიმია 1:0, ვისლა — გკს 2:0, გურნიკი — ლეგია 2:0, ზაგლებიე — ლკს 2:4, ლეხი — ოსტროვეცი 1:1, ოდრა — ამიცა 1:2. პირველ ადგილზეა ლკს 34 ქულით, 33 ქულა აქვს მის ლოძელ თანაქალაქელ „ვიძევს“, ხოლო მესამეზე 32 ქულიანი „ლეგიაა“.

**ლიტვის** ჩემპიონატის მე-16 ტური. ინტერასი — კარედა 0:5, ლოკომოტივას ლეგელა — ჰაქერისი 0:0, რანგა პოლიტეხნიკა — ეკრანასი 1:3, ტაურასი — ჟალგირისი 0:4. 41 ქულით პირველ ადგილზეა „კარედა“, მეორეზეა 40 ქულიანი „ჟალგირისი“, მესამეზე 38 ქულიანი „ეკრანასი“.

**ინგლისელი** მწვრთნელი ტრევორ ფრენსისი, გუშინწინ „ბირმინგემ სიტის“ თავკაცის თანამდებობიდან რომ გარბოდა, გუშინ პირიქით ამბობდა. ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ძლიერ გააკვირვა ხალხი, როდესაც შაბათს, „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ 1:0 მოგების შემდეგ თანამდებობიდან წასვლა ინება. როგორც გაუწყეთ, იგი ცოლ-შვილის ბედს ჩიოდა, რომლებიც თურმე ბირმინგემელთა მთვრალ გულშემატკივრებს დაუშინებიათ. კლუბის თავმჯდომარე დევიდ გოლდთან მოლაპარაკების შემდეგ „ნოტინგემ ფორესტის“, „სამპდორიას“ და „ბირმინგემის“ ყოფილი თავდამსხმელი კვლავ დაუბრუნდა სამსახურს.

## ფეხბურთის რუკასთან



**ბულგარეთში** გაგიჟებულან. ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი გუნდის, სოფიის „სლავიას“ და ლიდერის, „ლიტექსის“ თამაშში, რომელიც „ლიტექსის“ გამარჯვებით 2:1 დამთავრდა, 72-ე წუთზე „სლავიას“ მეკარე თანაგუნდელების დასახმარებლად წინ გაიჭრა და ამასობაში კარის უსაფრთხოების მიზნით მისი ადგილი ტრიბუნიდან ჩამომხტარმა გულშემატკივარმა დაიკავა. არამკითხე გოლკიპერი პოლიციელებმა გაიყვანეს.

**კვიპროსის** ჩემპიონატის მე-12 ტური. აელ ლიმასოლი — ანორთოსისი 2:3, ნეა სალამინა — ომონია 0:3, აპოელი — ენოსისი 2:3, ანაგენისისი — ევაგორასი 1:0, ალკი — ეთნიკოსი 1:0, აპოპი — აეკი 2:1, ეთნიკოს აშა — აპოლონი 1:2. 44 ქულა აქვთ „ანორთოსისსა“ და „ომონიას“, ხოლო 41 — „აპოლონს“.

**ინგლისური „არსენალის“ თავდამსხმელი იან რაიტი მუხლის ტრავმის გამო თებერვლის შუიდან მაყურებლად იყო ქცეული, მაგრამ ინგლისელს ტრავმათა ნაირსახეობის გამო ბევრი გაუცდა**

**ესპანეთში** იშვიათი რამ მოხდა, მაყურებელმა მეტოქე გუნდის მწვრთნელს ტაში დაუკრა. მეტიც, ფეხზე დამდგარმა ოვაცია მოუწყო. 59 წლის ლუის არაგონესი, „რეალ ბეტისის“ მწვრთნელი, გახდა პირველი ესპანელი სპეციალისტი, რომელმაც 600 შეხვედრაში უხელმძღვანელა სხვადასხვა გუნდს. მადრიდის „ატლეტიკოსთან“ შეხვედრა არაგონესისთვის მე-600-ე იყო. ამით დაეცა მიგელ ნუნიესის 599 თამაშიანი რეკორდი. მიგელ ნუნიესი ძირითადად მადრიდის „რეალს“ ედგა სათავეში. სწორედ „ატლეტიკოს“ ქომაგებმა გაუმართეს არაგონესს ოვაცია. აღსანიშნავია, რომ ლუის არაგონესი 11 წელიწადის განმავლობაში თამაშობდა „ატლეტიკოში“, შემდეგ კი ხუთჯერ წავიდა და დაბრუნდა, როგორც ამ გუნდის მწვრთნელი, 1976-77 წლებში კი მას ესპანეთის ჩემპიონობა მოაპოვებინა. გარდა ამისა, არაგონესს უმუშავია „სევილიაში“, „ვალენსიაში“, „ესპანიოლსა“ და „ბარსელონაში“. „ბეტისთან“ მისი ახლახლი კონტრაქტი 2000 წლამდეა. „როდესაც „ბეტისთან“ კონტრაქტს ამოვწურავ, ალბათ მუშაობას თავს დავანებებ“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომელიც ამბობს, რომ „ატლეტიკოს“ „ვისენტე კალდერონის“ სტადიონზე ასეთი დიდებული მიღება მისთვის არასდროს მოუწყვიათ.

**ინგლისური** ტრანსფერი: გუშინ „ევერტონის“ მწვრთნელმა ჰოვარდ კენდალმა „ქუინზ პარკ რეინჯერსისგან“ ერთი თვით ითხოვა თავდამსხმელი ჯონ სპენსერი, რომელიც მისი აზრით სახიფათო ზონიდან თავის დაღწევაში დაეხმარება. კენდალის გუნდი პრემიერლიგაში ბოლოდან მეხუთეა და დანკან ფერგიუსონი დისკვალიფიცირებული ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდასხმა აქვს გასაძლიერებელი. „ბედნიერი ვარ, რომ ჯონი ლივერპულში ჩამოვიდა. ძირითად შემადგენლობაში და საერთოდ, ჩვენს გუნდში ადგილის დამკვიდრება აწი მასზეა“ — თქვა კენდალმა. უცნაურია, რომ შოტლანდიის ნაკრების მოთამაშე სპენსერი ყველას მისნელი ჰგონია. 1996 წლის ნოემბერში იგი 4,1 მილიონ დოლარად „ჩელსიდან“ „ქუინზ პარკმა“ საშველად იყიდა— პრემიერლიგაში ასვლა სურდა. 27 წლის სპენსერმა გასულ სეზონში 18 გოლი შეაგდო. „ძალიან მინდოდა პრემიერლიგაში დაბრუნება. თან „ევერტონში“ საოცარი დანკანი თამაშობს, რომლის მხარდამხარ ასპარეზობაც საუცხოოა“ — განაცხადა თავდამსხმელმა.

**ესპანური** გუნდები ხსნიან და ხსნიან მწვრთნელებს თანამდებობიდან. სეზონის მეათე მსხვერპლი შეიქნა „რასინგის“ თავკაცი მარკოს ალონსო. ალონსო თავის დროზე ესპანეთის ნაკრებში თამაშობდა. იყო მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „ბარსელონას“ ფეხბურთელი, გუშინ კი „რასინგის“ დირექტორატს 20 წუთით შეხვდა და თანამდებობაც დაკარგა. ალონსო 1996 წლიდან მუშაობდა სანტანდერის გუნდში და იმედოვნებდა, რომ ჯერ არ მოხსნიდნენ. აღსანიშნავია, რომ „სპორტინგმა“ და „ტენერიფემ“ ამ სეზონში ორ-ორი მწვრთნელი გამოიცვალეს.

# მესამე მეკარე გზაშია

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს ტრავმათაგან თავის დაზღვევის მიზნით შეჯიბრებამდე და უშუალოდ შეჯიბრების დროს ნება ეძლევათ გამოიძახონ მესამე მეკარე.

მაშ ასე, 22 ფეხბურთელით დაკომპლექტებული გუნდები იმ შემთხვევაში, თუ ორიდან ერთი გოლკიპერი დაუშავდებათ, გუშინ მიღებულ წესს მიმართავენ.

# და ისევ ბილეთებზე

როგორც ჩანს, გუნდებს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში მონაწილეობენ, სასურველი რაოდენობის გულშემატკივრები ტრიბუნიდან ვერ გაამხნევებენ.

— დამატებითი ბილეთების გადმოცემას ერთობ პესიმიზმით ვუყურებ. ჩვენ გავაპროტესტეთ. გააპროტესტეს ინგლისმა, შოტლანდიამ და კამერუნმაც — განაცხადა ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟან პეეტერსმა.

პეეტერსი გუშინ პარიზში, 32 მონაწილე ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრაზე გახლდათ. მან დასძინა — გული გაგვიტყდა და შეკრებას ვტოვებთ.

ბელგია, ჩემპიონატის პირველი ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში ჰოლანდიას ეთამაშება, მანამდე კი ჩივის. მას ზემოხსენებული მატჩისთვის 6 ათასი ბილეთი ერგო, მაშინ როდესაც თამაშზე დასწრების სურვილი 70 ათასმა ადამიანმა გამოთქვა.

ფრანგულმა საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა, რომ იგი ზედმიწევნით მისდევდა ფიფას ინსტრუქციებს ბილეთების განაწილებასთან დაკავშირებით, ახლა კი მდგომარეობის შესაცვლელად ერთობ შეზღუდული საშუალებებია.

ამ კომიტეტის თანაპრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ თქვა: — ბილეთების შეკვეთას დაახლოებით 20 მილიონი ადამიანი ცდილობს, სულ კი ორნახევარი მილიონი ბილეთია, ამიტომაც ბუნებრივია, ბევრს დაწყდება გული.

პლატინის თქმით, ჯგუფური ტურნირის 160 ათასი ბილეთია დარჩენილი და მისი კომიტეტი ყველა ღონეს ახმარს, რათა ისინი უცხოელებს დაუროგოს.

— ამ 160 ათას ბილეთთან დაკავშირებით ჩვენ ევროკომისიას მივმართავთ და ის გადაწყვეტს მათ ბედს — დასძინა მან.

ფიფას პრეს-ატაშემ კით კუპერმა განაცხადა, რომ უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე, ორგანიზატორებს არ შეეძლოთ საგანგებო რაოდენობის ბილეთი გაეყიდათ უცხოეთში.

— იმავე მიზეზით საგანგებო ცვლილებებს ვერც ახლა მოვახდენთ.

# მე რომ ზაგალო ვიყო

ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თანამდებობიდან მიდის, განაცხადა, მე რომ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ვიყო, ეგ გუნდი ერთ თამაშსაც არ წააგებდაო.

— ჩემი ფილოსოფიით ბრაზილია დაუმარცხებელი იქნებოდა. ახლა თითქმის დაუმარცხებელია.

ოლსენის ხელში ნორვეგია მეორედ გავიდა მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე და ამხანაგურში თვით ბრაზილიას მოუგო 4:2.

ნორვეგია და ბრაზილია კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე შოტლანდიასა და მაროკოსთან ერთად ერთ ჯგუფში არიან.

# სიტიში რაღაცას ეძებენ

## ინგლისი

### XXIX ტური

**ლივერპული 2:1 ბოლტონი**

**ლივერპული: ფრიდელი, ჯონსი, ჰარკნესი, ბიორნებიუ, მატეო, ლეონარდსენი, რედნაპი, ინსი, მაკმანამანი, ოუენი, რიდლე (კენედი 34)**

**ბოლტონი: ბრენეგენი, კოქსი, ფრანდსენი, ფეირკლაფი, ბერგსონი, შერიდანი, ტოდი, ჰოლდსუორსი, გუნლაუგსონი, ბლეიკი, ტომპსონი**

**0:1 ტომპსონი (7), 1:1 ინსი (58), 2:1 ოუენი (65)**

— როცა „ლივერპულის" თამაშს უცქერ, შეუძლებელია, არ აღფრთოვანდე. რაც დრო გადის, გუნდი ნელ-ნელა იხვეწება, ფეხბურთელებიც უკეთ უგებენ ერთმანეთს, ამას კი, ცხადია, სასიკეთო შედეგები მოაქვს. თუნდაც ეს შეხვედრა ავიღოთ. დასაწყისი მართალია არც ისე სასურველი გამოდგა, მაგრამ ეგ არაფერი, საბოლოოდ ხომ ჩვენ ვიმარჯვეთ. იმედია, გუნდის თამაშს ხიბლი არ მოაკლდება. პირიქით, ვიმედოვნებ, რომ იგი, რაც დრო გავა, სულ უფრო გამრავალფეროვნდება. მართალი გითხრათ, მინდა, ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ. „მანჩესტერ იუნაიტედის" გადასწრების შანსი ნაკლებია, სამაგიეროდ,



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ასტონ ვილა. ჯანფრანკო ძოლა (მარცხნივ) გვიანღა გამოჩნდა

მეორე ადგილზე გასვლა სავსებით რეალურია. ჩვენ ვიბრძოლებთ კიდეც ამისთვის — თქვა „ლივერპულის" მწვრთნელმა როი ევანსმა, რომლის გუნდმაც ჩემპიონთა ლიგაში სათამაშოდ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. მართალია, ამჟამად მეორე ადგილზე მყოფი „ლივერპული" ძლიერად თამაშობს, მაგრამ ადრე, სრულიად გაუმართლებლად დაკარგული ქულების გამო, გუნდი ნაკლებთამაშიან „არსენალს" და „ბლექბერნს" პოტენციურად ჩამორჩება. რაკი პირველობის დასაწყისში ქარს გატანებული ქულები ვახსენე, აქვე დავძენ, რომ ამის მიზეზი გუნდის შეუთამაშებლობა იყო, ახლა კი „ლივერპული" გაცილებით ძლიერია, თან ლიგაში მოხვედრის შანსიც რომ გამოჩნდა, „წითლების" დამარცხებაც უფრო გართულდა. ეს კი უდავოდ კლუბის გაძლიერებაზე მეტყველებს.

...„ბოლტონი" ერთი ჩვეულებრივი ინგლისური გუნდია, თუმცა არა ადვილად დასამარცხებელი. ეს ამ მატჩმაც დაადასტურა — დასაწყისში ძლიერი თამაშით სტუმრებმა დიდმიზანდასახული მასპინძლები საკმაოდ ანერვიულეს, მაგრამ საბოლოოდ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და ძლიერმა გაიმარჯვა. „ლივერპულისთვის" არათუ მარცხი, ფრეც კი დაჩაგვრა იქნებოდა.

მოულოდნელი დასაწყისის გამო შეცბუნებული „ლივერპული" შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოეგო გონს, უპირატესობაც ჰპოვა, მაგრამ გამარჯვება მხოლოდ მეორე ტაიმში გაინაღდა — შესვენების შემდეგ მასპინძლებმა სტუმართა დაბზარული დაცვის სუსტი წერტილები სათანადოდ გამოიყენეს და მიზანს მიაღწიეს. გამარჯვების სულისჩამდგმელი კი კაპიტანი პოლ ინსი იყო, რომელსაც თანაგუნდელთა მამაცი გაძღოლითა და შეტევებში დროული და ხეირიანი ჩართვებით „ლივერპული" ხშირად გადაურჩენია.

ერთიანი სულისკვეთებით მიღწეული გამარჯვების ფონზე ერთი ლივერპულელის შესახებ მაინც გამორჩეულად უნდა ითქვას. მაიკლ ოუენი გუნდში სხვა კლუბიდან სულაც არ მოსულა. ყრმობიდანვე „ლივერპულის" ბავშვთა გუნდებში თამაშობდა და სანამ ოსტატთა შორის დაიბევებდა ადგილს, ენფილდროუდელთა ახალგაზრდული გუნდების ყველა დროს საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. ყმაწვილკაცს გამოცდილ თანაკლუბელთათვის კონკურენციის გაწევა არ გასჭირვებია, პირიქით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორი გოლის გამტანი კარლ ჰაინც რიდლეს ერთი პირობა სათადარიგოთა შორის მიუჩინა ადგილი. დღესდღეობით ოუენი, მიუხედავად თინეიჯერული ასაკისა, „ლივერპულის" ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, თან პრემიერლიგაში შეგდებული 14 გოლის წყალობით დიდი შანსი აქვს, ბომბარდირობასაც გამოჰკრას ხელი. მით უმეტეს, ჩემპიონატის დასასრულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, წინ მყოფი სატონი კი მას მხოლოდ ორი გოლით უსწრებს.

**შეფილდი 2:0 მანჩესტერი**

**შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, ნიუსომი, უოკერი, ბუთი, პემბრიჯი (უითინგემი 49), ჰინჩკლიფი, ბარეტი, სტეფანოვიჩი, კარბონე, დი კანიო (ოუკსი 89)**

**მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, ფ. ნევილი (კერტისი 60), ბერგი, მეი, იონსენი (სქოულზი 46), ბექემი, ბათი, სოლსკიაერი, კოული (მაკლეირი 77), შერინგემი**

**1:0 აზერტონი (26), 2:0 დი კანიო (88)**

ოთხშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედი" საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოს" დაუპირისპირდა, თუმცა რა ანგარიშითაც დაიწყეს თამაში, იმითვე დაასრულეს. ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩი საცქერად საერთოდ არ ვარგოდა, ეგ კი არა, მეტოქეთა ამჟამინდელი თამაშის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, დიდი თვალსასეირო არც ის უნდა გამოდგეს, რვა დღეში რომ უმასპინძლებს „ოლდ ტრეფორდი". იმ შეხვედრის მერე სტუმართა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა მოძავლის განჭვრეტა სცადა და მრავლისმეტყველად განაცხადა, შეხვედრა დაძაბული იყო, ძალიან გამოგვფიტა, შესაძლოა, ამან შემდგომ თამაშებს თავისი კვალი დაატყოსო. გამოცდილი სქოტი მწვრთნელი მართალი გამოდგა — „შეფილდ უენსდეისთან" მანჩესტერი გუნდს არ ჰგავდა, ნათლად ჩანდა, მისი თამაში საფრანგეთში გადატანილი ერთობ-პრინციპული მატჩის ლოგიკური გაგრძელება იყო. ასე ცუდად „იუნაიტედს", ალბათ, ამ სეზონში არც უთამაშია. მეტოქეს იმხელა უპირატესობა ჰქონდა, გაოცდებოდით, სტუმრები ჩემპიონატის მოგებას როგორ ახერხებენო.

...სტუმართა ნგრევა პირველივე წუთიდან დაიწყო — მასპინძლები დალაგებულად, ზუსტად, აუღელვებლად თამაშობდნენ, საკუთარ ძალებში დარწმუნებული „მანჩესტერი" კი მიხვდა, რომ მეტოქეს უდარდელი თამაშით ვერ სძლევდა და განერვიულდა კიდეც. აი, აქ მათ იმედებს წერტილი დაესვა. პემბრიჯის გოლმა სტუმრებს ცივი წყალი გადაასხა. თავზარდაცემულებმა ტემპის აჩქარება სცადეს, ამით კი უზუსტოდ თამაში გაახშირეს. მასპინძლებმა კი, მიუხედავად ორი-სამი აშკარა საგოლე მომენტისა, მხოლოდ მიწურულს იხეირეს — პაოლო დი კანიომ, მთელი შეხვედრის მანძილზე აბსოლუტურად ყველაფრით უკმაყოფილო რომ გახლდათ, ფლანგიდან ჩაწოდებულს ალალბედზე მოუქნია ფეხი, მისდა გასაკვირად კი ვან დერ გოუმ ვერაფერი იღონა. მეკარის უკან ნორვეგიელი ჰენინგ ბერგი იდგა, მაგრამ მან ბურთის მოგერიება კარში მდგომმა შეძლო, მაშინ კი გვიანღა იყო.

მასპინძელთა მწვრთნელმა რონ ატკინსონმა, რომელიც ადრე მანჩესტერელთა თავკაცი გახლდათ, მოგება დამსახურებულად მიიჩნია — მეტოქეს ყველაფერში ვჯაბნიდით და სხვა შედეგი რომ ყოფილიყო, უნამუსობა იქნებოდაო.

**საუთჰემპტონი 2:1 ევერტონი**

**საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ბენალი, პალმერი, მონკუ, ლუნდეკვამი, ოუკლი, ჰერსტი, ბერქფორდი, ოსტენსტადი, ლე ტისიე (დრაიდენი 76)**

**ევერტონი: მერი, ოკინი, უოტსონი, ბილიჩი, ტილერი, ბოლი, ბარმბი, ატკინსონი, ფარელი (კადამარტერი 74), ოსტერი, მადარი**

**1:0 ლე ტისიე (69პ), 2:0 ოსტენსტადი (86), 2:1 ტილერი (89)**

— ნელ-ნელა იგი პრემიერლიგის რჩეულ მეკარეებს ემსგავსება. თამაშს უფრო და უფრო ხვეწს, რასაც დაოსტატებაც თან სდევს. დღევანდელი შეხვედრაც ამის დასტური იყო. თუნდაც მოგერიებული პენალტი რად ღირს. მისი ნახტომი ერთადერთ სიტყვას იმსახურებს — შესანიშნავი. მალე ინგლისს კიდევ ერთი ძლიერი მეკარე ეყოლება — პოლ ჯონსი — განაცხადა „საუთჰემპტონის" მწვრთნელმა დეივ ჯონსმა, რომელიც შეგირდის თამაშმა აღაფრთოვანა. მწვრთნელის მოგვარე მეკარემ მართლაც ძლიერად ითამაშა, ატკინსონს პენალტიც არ გაატანინა, გარდა ამისა, კიდევ რამდენჯერმე იხსნა მასპინძელთა კარი. ამასობაში კი თანაგუნდელებმა ორი ბურთი შეაგდეს და „წმინდანებს" („საუთჰემპტონის" მეტსახელია) გამარჯვება დაუბევეს. ლივერპულელებს დისკვალიფიცირებული ლიდერის, დანკან ფერგიუსონის არყოფნა აშკარად ეტყობოდათ. მასპინძელთა ლამის თილისმად ქცეულმა მეტ ლე ტისიემ კი კარიერაში დარტყმული 46-ე პენალტიდან 45-ე შეაგდო.

**ჩელსი 0:1 ასტონ ვილა**

**ჩელსი: დე გუი, ლებეფი, დაბერი, მორისი, ნიუტონი, ნიკოლსი, სინკლერი, მეიერსი (შარვე 68), დი მატეო (ძოლა 61), ფლო, ვიალი**

**ასტონ ვილა: ბოზნიჩი, სტონტონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი, დრაპერი, ჰენდრი, გრეისონი, რაიტი, იოაკიმი, იორკი**

**0:1 იოაკიმი (51)**

ვიალის, ეტყობა, პრემიერლიგა გართობად მიაჩნია — ევროთასებზე იცის, თამაში რომ არ ძალუძს და სხვას ათამაშებს. შედეგი — „ჩელსი" თასების თასის მოგების უპირველესი კანდიდატია. პრემიერლიგაში კი, რაც გულიტი წავიდა, ვიალი მუდამ ძირითადშია. შედეგი — „ჩელსის", იტალიელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პრემიერლიგაში მატჩი რაა, ის არ მოუგია.

ახლაც გაუგებარი იყო, რა მიზეზით არ ათამაშა თავიდანვე უაიზი, ანაც ძოლა. ეს ორი ჩია ფეხბურთელი ხომ ლონდონელთა ლიდერები არიან, მათმა არყოფნამ კი გუნდზეც რომ დამღუპველად იმოქმედა, შედეგიდანაც ჩანს — მარცხს მარცხი მოსდევს, უწყვეტ წაგებებს კი ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსის შეუჩერებელი შემცირება.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 29 | 18 | 5 | 6 | 57:21 | 59 |
| ლივერპული | 29 | 14 | 8 | 7 | 48:29 | 50 |
| არსენალი | 26 | 13 | 9 | 4 | 45:26 | 48 |
| ბლექბერნი | 27 | 13 | 9 | 5 | 49:33 | 48 |
| ჩელსი | 28 | 14 | 3 | 11 | 52:31 | 45 |
| დერბი | 28 | 13 | 6 | 9 | 44:34 | 45 |
| ლიდსი | 28 | 12 | 6 | 10 | 36:30 | 42 |
| ლესტერი | 28 | 10 | 10 | 8 | 34:28 | 40 |
| ვესტ ჰემი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:36 | 40 |
| საუთჰემპტონი | 29 | 12 | 4 | 13 | 36:38 | 40 |
| ქოვენთრი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:35 | 39 |
| შეფილდი | 29 | 10 | 7 | 12 | 43:54 | 37 |
| ასტონ ვილა | 29 | 10 | 6 | 13 | 31:39 | 36 |
| ნიუკასლი | 27 | 9 | 7 | 11 | 26:31 | 34 |
| უიმბლდონი | 26 | 8 | 8 | 10 | 28:30 | 32 |
| ევერტონი | 29 | 7 | 9 | 13 | 33:42 | 30 |
| ტოტენჰემი | 29 | 8 | 6 | 15 | 26:44 | 30 |
| ბარნსლი | 27 | 7 | 4 | 16 | 24:63 | 25 |
| ბოლტონი | 28 | 4 | 12 | 12 | 24:45 | 24 |
| კრ. პალასი | 27 | 5 | 8 | 14 | 21:41 | 23 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კრის სატონი (ბლექბერნი) | 16 |
| მაიკლ ოუენი (ლივერპული) | 14 |
| დიონ დაბლინი (ქოვენთრი) | 14 |
| კევინ გალაჰერი (ბლექბერნი) | 13 |

### პირველი დივიზიონი

### XXXVII ტური

**სიტი 0:2 ოქსფორდი**

**სიტი: რაიტი, ჯეფ უაიტლი, ბრისკო (ბრაუნი 61), შელია (რასელი 46), საიმონსი, ცხადაძე, ვიკენსი, ჯიმ უაიტლი, ბრედბერი (დიკოვი 51), ბერდსლი, როსლერი**

**0:1 ბიჩემპი (44), 0:2 კუკი (81)**

— ვფიქრობ, ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ არ გაგვიმართლა. როგორც ჩანს, რაღაცაშია საქმე — განაცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა ჯო როილმა.

ისე, როილი მეტად გულადი პიროვნება ყოფილა. ამ „რაღაცის" ძებნას, რაც „მანჩესტერ სიტის" უიღბლობის მთავარი მიზეზია, უკანასკნელ სამ წელიწადში ათამდე მწვრთნელი შეეწირა და თანაც ვერ იპოვეს, როილმა კი — მე აქ რისთვის ვარ, თუ არა პრობლემების გადასაჭრელადო...

## ასოციაციის თასი

### მეოთხედფინალი

**ნიუკასლი 3:1 ბარნსლი**

**ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, პირსი, ჰაუი, ალბერი, ბეტი, ლი, სპიდი, ქეცბაია, ანდერსონი, შირერი**

**ბარნსლი: უოტსონი, იდენი, შერიდანი, ბერნარდი, მოუზისი, დე ზიუ (ხრისტოვი 55), მორგანი, ლიდელი, უორდი, მარსელი (ბალოკი 50), რედფერნი**

— მწამდა, მოვიგებდით. აკი ასეც მოხდა. იმედი მაქვს, თასს ავიღებთ. დღევანდელმა თამაშმა ჩვენი პრეტენზიები გაცილებით საფუძვლიანი გახადა, ვიდრე აქამდე იყო — თქვა კენი დალგლიშმა, რომელსაც, როგორც ამბობენ, „ნიუკასლის" ევროტურნირებზე გაყვანა ასოციაციის თასის მოგებით გადაუწყვეტია.

„ნიუკასლის" საქმე პრემიერლიგაში ისეა, მტერს არ უსურვებს კაცი. სეზონის წინ ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატი სადღაც ცხრილის შუაგულში ჩაძირულა და მთელს დუნიაზე შერცხვენის თავიდან აცილებას ცდილობს, თასზე კი, იცოცხლე — ჩრდილოინგლისელები მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებენ. თან გათამაშებას შემორჩენილებს თუ გავითვალისწინებთ, არც მთავარი პრიზის მოპოვება უნდა იყოს ძალიან ძნელი.

თითქმის სამი თვე გასრულდა მას შემდეგ, რაც დალგლიშმა ქეცბაია ძირითადში ათამაშა. მანამდე თემურს უმეტესად ბოლო 15-10 წუთი უწევდა თამაში, ახლა კი ძირითადში გაამწესეს. ინგლისელებმა ამის მიზეზად კლუბის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, თავგატეხილი კიტ გილესპის არყოფნა მიიჩნიეს, მაგრამ თავად მწვრთნელმა სხვანაირად ახსნა: მან (თემურმა) ფორმა აღიდგინა, დრო იყო, ძირითადშიც გამომეცადაო. ამ ცდამ კი არა მხოლოდ გაამართლა, გუნდს გამარჯვებაც დაუბევა.

შეხვედრის დასასრულს „ბარნსლის" თავკაცმა დენი უილსონმა სევდიანად იხუმრა, თამაშს ბრმა მსაჯი სჯიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქეცბაიას გოლის ჩათვლა როგორ შეიძლებოდაო. მწვრთნელი მართალი იყო — როცა თემურიმ ლის პასი მიიღო, უკვე თამაშგარეში იმყოფებოდა.

**ლიდსი 0:1 ვულვერჰემპტონი**

**ლიდსი: მარტინი, ჰიდენი, მოლენაარი, რადებე, ჰარტე, ჰალე, ჰაალანდი, კიუელი, უოლესი, ჯიმი, რიბეირო (კელი 61)**

**ვულვერჰემპტონი: სეგერსი, მუსკეტი, უილიამსი, კერლი, რიჩარდსი, ნეილსი, რობინსონი, ოსბორნი, გუდმენი, ბალი (კინი 78), ფრიდმენი**

**0:1 გუდმენი (82)**

გასული კვირის შუაში სტუმართა 35 წლის მეკარე ჰანს სეგერსმა 20-თვიანი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა ოფიციალურ მატჩში, მეორე შეხვედრაში კი „ვულვერჰემპტონი" იხსნა — ჰოლანდიელმა ჯიმი თანამემამულე სეგერსს 89-ე წუთზე მეტად მნიშვნელოვანი პენალტი ვერ გაუტანა და სტუმრებიც ბოლო 17 წლის მანძილზე პირველად გავიდნენ თასის ნახევარფინალში.

**ქოვენთრი 1:1 შეფილდ იუნ.**

**ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, ბაროუზი, ბრინი, შაკერბი, ველანი, ტელფერი, ბოატენგი, ნილსონი, სტრაჩანი (სოლტვედტი 76), დაბლინი, მოლდოვანი (შოლი 78)**

**შეფილდი: კელი, შორტი (ბერდი 46), ქუინი, ბორბოვიჩი, სენდფორდი, ჰოლდსუორსი, ფორდი, მარკერი, ტეილორი, მარსელო (კაჩურო 81), სტიუარტი**

**1:0 დაბლინი (32 პ), 1:1 მარსელო (45)**

მასპინძელთა ვეტერანი მეკარე სტივ ორგიზოვიჩი 1987 წელს თასის გათამაშებაში ნამარჯვი „ქოვენთრის" შემადგენლობიდან ერთადერთი შემორჩა გუნდს, თუმცა ყველაზე გამოცდილმა მასპინძელმაც კი ვერ შეძლო მარსელოს დარტყმის მოგერიება, დარტყმისა, რომელმაც სტუმრებს ნახევარფინალში გასვლის შანსი დაუტოვა.

...მეოთხედფინალამდე „ქოვენთრიმ" პრემიერლიგელი „ლივერპული", „დერბი" და „ასტონ ვილა" ჩამოიშორა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქვედავიზიონელთან შეხვედრამ „აწყინა".

ახლა ეს გუნდები ნახევარფინალისტს 17 მარტს გაარკვევენ.

**არსენალი 1:1 ვესტ ჰემი**

**არსენალი: მენინგერი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, ადამსი, ანელკა (ვრე 66), კეონი, პარლოუ, პეტი, ოვერმარსი, ბერხკამპი**

**ვესტ ჰემი: ლამა, პოტსი, დომასი, ფერდინანდი, მონკური, ლაზარიდისი, ლემპარდი, პირსი, იმპი, აბუ, ბერკოვიჩი (მოქსი 77)**

**0:1 პირსი (12), 1:1 ბერხკამპი (26პ)**

დაძაბული ლონდონური დერბის მეორე შეხვედრა, ზემოხსენებული მატჩის დარად, 17 მარტს იქნება.

*ნახევარფინალები 5 აპრილს ნეიტრალურ მინდვრებზე გაიმართება: „ვულვერჰემპტონი" — „არსენალი" ან „ვესტ ჰემი"; „ნიუკასლი" — „ქოვენთრი" ან „შეფილდ იუნაიტედი"*

## საბერძნეთი

25-ე ტური. ვერია — პანახაიკი 3:0; ირაკლისი — პაოკი 2:3; პანათინაიკოსი — ოფი 6:2; იონიკოსი — ქსანთი 1:0; კალამატა — ოლიმპიაკოსი 0:4; ათინაიკოსი — პანიონიოსი 3:0; ეთნიკოსი — აპოლონი 2:0; კავალა — პრუდეფტიკი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 25 | 21 | 1 | 3 | 64:16 | 64 |
| პანათინაიკოსი | 25 | 20 | 1 | 4 | 67:20 | 61 |
| აეკი | 24 | 17 | 5 | 2 | 46:21 | 56 |
| პაოკი | 25 | 15 | 6 | 4 | 45:27 | 51 |
| იონიკოსი | 25 | 15 | 6 | 4 | 38:20 | 51 |
| ირაკლისი | 25 | 13 | 6 | 6 | 38:27 | 45 |
| ოფი | 25 | 10 | 3 | 12 | 34:44 | 33 |
| ქსანთი | 25 | 9 | 5 | 11 | 39:43 | 32 |
| პანიონიოსი | 25 | 9 | 3 | 13 | 32:36 | 30 |
| პანილიაკოსი | 24 | 7 | 8 | 9 | 33:33 | 29 |
| აპოლონი | 25 | 8 | 5 | 12 | 22:32 | 29 |
| ვერია | 25 | 7 | 5 | 13 | 27:37 | 26 |
| პანახაიკი | 25 | 7 | 3 | 15 | 21:45 | 24 |
| ეთნიკოსი | 25 | 7 | 1 | 17 | 20:40 | 22 |
| პრუდეფტიკი | 25 | 6 | 4 | 15 | 24:48 | 22 |
| კალამატა | 25 | 5 | 6 | 14 | 18:36 | 21 |
| ათინაიკოსი | 25 | 5 | 5 | 15 | 18:39 | 20 |
| კავალა | 25 | 4 | 5 | 16 | 25:47 | 17 |

## თურქეთი

25-ე ტური. ანთალია — ისთანბული 1:3; გენჩლერბირლიგი — ალთაი 1:3; ფენერბაჰჩე — ქარაბუქი 2:0; შექერსფორი — გალათასარაი 2:4; გაზიანთეფი — ტრაბზონი 1:3; დარდანელი — სამსუნი 0:0; ქოჯაელი — ბურსა 1:2; ვანსფორი — ანკარაგიუჯიუ 1:0; ბეშიქთაში — ქაისერი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 25 | 16 | 4 | 5 | 59:33 | 52 |
| ფენერბაჰჩე | 25 | 15 | 6 | 4 | 41:18 | 51 |
| ტრაბზონი | 25 | 15 | 6 | 4 | 49:27 | 51 |
| ისთანბული | 25 | 11 | 9 | 5 | 43:26 | 42 |
| სამსუნი | 25 | 11 | 7 | 7 | 32:24 | 40 |
| ბურსა | 25 | 11 | 6 | 8 | 34:31 | 39 |
| ბეშიქთაში | 25 | 10 | 7 | 8 | 45:31 | 37 |
| ქარაბუქი | 25 | 11 | 4 | 10 | 28:33 | 37 |
| დარდანელი | 25 | 8 | 9 | 8 | 27:23 | 33 |
| ანკარაგიუჯიუ | 25 | 9 | 6 | 10 | 29:31 | 33 |
| ალთაი | 25 | 9 | 6 | 10 | 27:34 | 33 |
| ქოჯაელი | 25 | 8 | 6 | 11 | 31:32 | 30 |
| გენჩლერბირ. | 25 | 7 | 8 | 10 | 30:31 | 29 |
| ქაისერი | 25 | 8 | 4 | 13 | 27:42 | 28 |
| ანთალია | 25 | 6 | 7 | 12 | 34:45 | 25 |
| შექერსფორი | 25 | 6 | 5 | 14 | 27:58 | 23 |
| გაზიანთეფი | 25 | 5 | 7 | 13 | 28:37 | 22 |
| ვანსფორი | 25 | 2 | 7 | 16 | 18:53 | 13 |

## სლოვენია

მე-20 ტური. ოლიმპია — რუდარი 1:1; პუბლიკუმი — მურა 1:1; გორიცა — მარიბორი 3:0; კოროტანი — პრიმორიე 1:1; პორტოსნიკი — ვევჩე 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურა | 20 | 13 | 4 | 3 | 39:22 | 43 |
| პრიმორიე | 20 | 11 | 3 | 6 | 41:29 | 36 |
| მარიბორი | 20 | 11 | 1 | 8 | 29:19 | 34 |
| ოლიმპია | 20 | 8 | 8 | 4 | 33:28 | 32 |
| გორიცა | 20 | 9 | 4 | 7 | 31:20 | 31 |
| პუბლიკუმი | 20 | 8 | 6 | 6 | 26:30 | 30 |
| რუდარი | 20 | 6 | 6 | 8 | 22:20 | 24 |
| კოროტანი | 20 | 5 | 6 | 9 | 17:28 | 21 |
| პორტოსნიკი | 20 | 5 | 2 | 13 | 25:45 | 17 |
| ვევჩე | 20 | 2 | 4 | 14 | 14:46 | 10 |

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 30 | 15 | 8 | 7 | 34:21 | 53 |
| ესტრემადურა | 30 | 15 | 8 | 7 | 42:31 | 53 |
| ლას პალმასი | 30 | 12 | 14 | 4 | 51:33 | 50 |
| ვილიარეალი | 30 | 12 | 12 | 6 | 33:29 | 48 |
| ერკულესი | 30 | 13 | 8 | 9 | 40:32 | 47 |
| რაიო | 30 | 13 | 8 | 9 | 35:27 | 47 |
| ატლეტიკო | 30 | 12 | 9 | 9 | 45:35 | 45 |
| ლეგანესი | 30 | 11 | 12 | 7 | 31:30 | 45 |
| ეიბარი | 30 | 11 | 11 | 8 | 29:20 | 44 |
| სევილია | 30 | 12 | 8 | 10 | 35:30 | 44 |
| ლეიდა | 30 | 12 | 7 | 11 | 34:36 | 43 |
| ორენსე | 30 | 11 | 9 | 10 | 32:29 | 42 |
| ბადახოსი | 29 | 9 | 13 | 7 | 31:24 | 40 |
| ოსასუნა | 29 | 11 | 7 | 11 | 27:25 | 40 |
| ალბასეტე | 30 | 10 | 9 | 11 | 35:38 | 39 |
| ტოლედო | 30 | 7 | 12 | 11 | 29:38 | 33 |
| ელჩე | 30 | 8 | 8 | 14 | 33:42 | 32 |
| ნუმანსია | 30 | 6 | 11 | 13 | 19:38 | 29 |
| ლოგრონიესი | 30 | 5 | 12 | 13 | 20:31 | 27 |
| სერესი | 30 | 5 | 12 | 13 | 17:30 | 27 |
| ხაენი | 30 | 5 | 12 | 13 | 24:39 | 27 |
| ლევანტე | 30 | 5 | 8 | 17 | 23:41 | 23 |

## იტალია

XXIV ტური

### მილანი 1:0 სამპდორია

მილანი: ს. როსი, დაინო, კოსტაკურტა, დესაი, მალდინი, ბა (ლეონარდო 46), დონადონი, ბობანი, ციგე, ვეა (განცი 65), კლუივერტი

სამპდორია: ფერონი, ბალერი, დიენგი, ფრანჩესკეტი (სალსანო 63), პუგო, პეზარეზი, კასტელინი, ბოლოსიანი, ლაილე, მონტელა, სინიორი (სუარეში 75)

1:0 ციგე (37)

გაფრთხილება: დაინო, კოსტაკურტა, განცი, კასტელინი, მონტელა

### ბარი 2:0 ემპოლი

ბარი: მანჩინი, გარსია, სორდო (ჯორჯეტი 28), ნექროიზი, სალა, მანიგეტი, ვოლპი (ბრესანი 66), ინგესონი, ძამბროტა, მასინგა, გუერერო (დე როსა 58)

ემპოლი: როკატი, ფუსკო, ბეტელა, ბიანკონი, ლუჩენტი, პანე, მარტუშელო, ბიზოლი (ლანგონე 69), ტონეტო (მასტრონუნსიო 67), ფლორიანჩიჩი (გორი 87), ბონომი

1:0 მასინგა (32), 2:0 ინგესონი (89)

გაფრთხილება: ნექროიზი, ინგესონი, დე როსა, პანე, ბიზოლი, ლანგონე

### პარმა 1:0 ინტერი

პარმა: ბუფონი, ზე მარია, ტურამი, კანავარო, ბენარივო, სტანიჩი (მუსი 63), დ. ბაჯო, ფიორე, ბლომკვისტი (ორლანდინი 21, აპოლონი 83), კიეზა, კრესპო

ინტერი: პალიუკა, სარტორი, ვესტი, ბერგომი, ძანეტი, მორიერო (სამორანო 74), ვინტერი (მილანეზე 46), პაულო სოუზა, სიმეონე, ჯორკაეფი (კოე 74), რონალდო

1:0 კრესპო (78)

რონალდომ ვერ გაიტანა პენალტი (67)

გაფრთხილება: კანავარო, ბენარივო, სტანიჩი, კიეზა, ვესტი

# ყველაფერი სამართლიანია

### ფიორენტინა 1:1 პიაჩენცა

ფიორენტინა: ტოლდო, ტაროცი, ფირიკანო, პადალინო, სერენა, ბიჯიკა (კ. ამორუზო 46, ატსენი 88), რუი კოშტა, შვარცი, კანჩელსკისი, მორფეო, რობიატი

პიაჩენცა: სერენი, ტალიაფერი, მაცოლა, ვერხოვოდი, ტრამეცანი, ბუზო, ბორდინი, სტროპა (ვალტოლინა 77), პიოვანელი, პიოვანი, დიონიჯი (რასტელი 64)

0:1 დიონიჯი (26), 1:1 მორფეო (72)

გაფრთხილება: ტალიაფერი

გაძევება: ბუზო (87), შვარცი (90)

### ვიჩენცა 1:0 ატალანტა

ვიჩენცა: ბრივიო (ფალკონი 14), მენდესი, ბელოტი, დიჩარა, ვივიანი (სტოვინი 75), სკენარდი, დი კარლო, ამბროზინი, ამბროზეტი, ლუიზო, ოტერო (დი ნაპოლი 65)

ატალანტა: ფონტანა, მირკოვიჩი, რუსტიკო, კარერა (ბოსელი 73), დუნდიერსკი, ბონაჩინა, კაპიოლი (მაგალანესი 50), პიაჩენტინი, გალო, სგრო, კაჩა (ლუკარელი 50)

1:0 დი ნაპოლი (82)

გაფრთხილება: მენდესი, ამბროზეტი, დიჩარა, დი ნაპოლი, მირკოვიჩი, კაპიოლი, ბონაჩინა, გალო, კაჩა

გაძევება: ლუკარელი (90)

### ნაპოლი 0:0 ბოლონია

ნაპოლი: ტალიალატელა, მალაფრონტე, ბალდინი, კრასონი, ფაჩი, პანარელი, ტურინი (პროტი 84), ლონგო, ალტომარე, ბელუჩი, სტოიაკი (სკარლატო 90)

ბოლონია: სტერკელე, პაგანინი, ტორიზი (ნერვო 62), მანგონე, პარამატი, მაგონი, კრისტალინი (მარტინესი 74), ტარანტინო, რ. ბაჯო, კ. ანდერსონი, კოლივანოვი (შალიმოვი 76)

გაფრთხილება: ალტომარე, ტორიზი, პარამატი, კრისტალინი

### უდინეზე 1:1 იუვენტუსი

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჰელვეგი, ჯანიკედა, ვალემი (სტატუტო 62), ბაკინი, პოჯი (ლოკატელი 76), ბირჰოფი, იორგენსენი (ამოროზო 62)

იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი (ტორიჩელი 72), იულიანო, მონტერო, პესოტო, კონტე, დეშამპი, ზიდანი, დავიდსი (ტაკინარდი 75), ინძაგი (ფონსეკა 57), დელ პიერო

1:0 ბაკინი (76), 1:1 დელ პიერო (89)

გაფრთხილება: ვალემი, ბირინდელი, იულიანო, კონტე, დავიდსი

### ბრეშა 3:2 ლეჩე

ბრეშა: ჩერვონე, ა. ფილიპინი, სავინო (კორადო 81), ბია (დიანა 65), ადანი, კოზმინსკი, ე. ფილიპინი, დონი (დე პაოლა 65), ბანინი, ნერი, ბიცარი

ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, სიპრიენი, ვიალი, მ. როსი, გოვედარიკა (კოცა 65), ჯანინი, კასალე, როსინი (ფ.ბელუჩი 53), პალმიერი, იანუცი (დე ფრანჩესკო 72)

1:0 ადანი (9), 1:1 პალმიერი (22), 1:2 მ. როსი (32), 2:2 სიპრიენი (35ს.კ.), 3:2 კოზმინსკი (63)

გაფრთხილება: კოზმინსკი, დე პაოლა, ვიალი, კასალე

გაძევება: საკიჩი (90)

### ლაციო 2:0 რომა

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, ფავალი, ფუზერი, ვენტურინი, იუგოვიჩი, ნედვედი (გოტარდი 71), ბოკშიჩი (კაზირაგი 75), მანჩინი (მარკოლინი 86)

რომა: კონსელი, კაფუ, ზაგო, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო (პელგუერა 68), დი ფრანჩესკო (სკაპოლო 78), პაოლო სერჯიო, დელ ვეკიო, ტოტი

1:0 ბოკშიჩი (50), 2:0 ნედვედი (62)

გაფრთხილება: ნედვედი, კაფუ

მარჩელო ლიპი სიხარულისგან სადღაც გაიქცა, ალესანდრო დელ პიერომ ზეიმის უცნაური რიტუალი ჩაატარა, „იუვენტუსმა“ თამაშის დამთავრებამდე წამებით ადრე გაათანაბრა ანგარიში.

ორი თამაშია „იუვენტუსი“ ათანაბრებს. ჯერ იყო და გასული კვირის შუაში ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში, შინ მოუხდა ანგარიშის გაქვითვა, ახლა იტალიის პირველობის მორიგ ტურში დაემართა იგივე.

ჩემპიონთა თასზე, კიევის „დინამომ“ მარჩელო ლიპის გუნდს მართლაც ბევრი ენერგია დაახარჯვინა. იმ თამაშის შემდეგ რამდენიმე დღეში „უდინეზესთან“ უდინეში ჭიდილი იოლი საქმე ვერ იქნებოდა. აგერ, იტალიის მეზობლად, ესპანეთის პირველობაზე მადრიდის „რეალმა“ ოთხშაბათის შეხვედრის შემდეგ ბარსელონაში ველარ გაუძლო და 0:3 წააგო.

„იუვენტუსისთვის“ ხასიათის სიმტკიცის შემოწმების გარდა უდინეში ანგარიშის გათანაბრებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა, მისი მდევარი-კონკურენტი მილანის „ინტერი“ ბოლო სამ თამაშში მეორედ დამარცხდა და ტურინის გუნდსაც მეტი რა უნდოდა.

— ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო, მაგრამ გადამწყვეტი მაინც არ ეთქმის. ჯერ კიდევ ბევრი თამაშია დარჩენილი — ბრძანა ლიპიმ.

ჯერ წინ 10 ტურია. ლიპი ალბათ ფიქრობს, ისე როგორ იქნება სადმე ფეხი არ დაგვიცდეს, ბუნებრივია „ინტერიც“ მუდმივად არ წააგებს, მეტიც, აუცილებლად მოვა იშტაზე და რამდენიმე თამაშს ზედიზედ მოიგებს. იქაც „ლაციო“ გადაირია...

„ლაციო“ როგორც ჩანს. დიდ მიზნებს ეჭიდება. ყოველ შემთხვევაში, თანაქალაქელ და თანასტადიონელ „რომას“ რომ დაეჭიდა, მოუგო და „ინტერსაც“ ქულით გადაასწრო. ახლა მეორეზე „ინტერი“ კი აღარაა, „ლაციოა“. იგი ზედიზედ 10 შეხვედრაში არ დამარცხებულა.

ლაციოელი ალენ ბოკშიჩისა და პაველ ნედვედის გოლებმა „რომა“ ზედიზედ მეოთხე დერბის დამარცხებულად აქცია. არადა, ანგარიშის გახსნა „რომას“ უფრო ადრე შეეძლო — ეუსებიო და ფრანჩესკოს დარტყმა ჯორჯო ვენტურინმა ხაზიდან თავით გამოიტანა. შესვენების შემდეგ „ლაციომ“ „რომას“ საჯარიმოს ხაზიდან ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვა. იუგოსლავიელი ვლადიმირ იუგოვიჩის დარტყმა ავსტრიელმა მეკარემ მიხაელ კონსელმა მოიგერია, მაგრამ დამატებულს ბადეღა შეეგება — ბოკშიჩმა სეზონის მე-10 გოლი გაიტანა.

„რომას“ იმედი, ქულა ეხსნა, ჩეხმა პაველ ნედვედმა მოკლა. მართალია, დიეგო ფუზერის დარტყმული კარში არ გავიდა, სამაგიეროდ ნედვედის დარტყმული გამოდგა შედეგიანი.

... გაიტანს რონალდო? აი, მუდმივი კითხვა. სხვა ვინმემ შეიძლება გაიტანოს, შეიძლება ვერც გაიტანოს, რონალდომ კი უნდა გაიტანოს, თორემ ატყდება ლაპარაკი კრიზისზე.

პარმაში რონალდომ ვერ გაიტანა, არადა პენალტი დაარტყა. პენალტი იმიტომ დაინიშნა, რომ მისმა ბრაზილიელმა თანამემამულემ ზე მარიამ იგი საჯარიმოში თითქოსდა წააქცია. სამაგიეროდ რონალდომ ვერ წააქცია „პარმას“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი, რომელიც კი წაიქცა ანუ გადახტა, მაგრამ სწორად, თავისგან მარცხნივ, იქ, სადაც რონალდომ დაარტყა.

გავიდა 11 წუთი და რაც პენალტით ვერ შეძლო ბრაზილიელმა, ის არგენტინელმა უპენალტოდ გააკეთა — ერნან კრესპომ ნახევარბრუნით ლამაზი გოლი გაუტანა ჯანლუკა პალიუკას.

— მე რომ მკითხოთ, „ინტერის“ მთლიანად უნდა გეშინოდეს და არა მხოლოდ რონალდოსი — თქვა თამაშის შემდეგ „პარმას“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — რონალდო როცა კანავაროს ზონაში შედიოდა, მისი ზედამხედველობის ქვეშ ექცეოდა.

მარჩელო ლიპი კი სიხარულისგან სადღაც გაიქცა, დელ პიერომ უცნაურად იზეიმა და „იუვენტუსმა“ ბოლო წამს გაქვითა, რათა სერია A-ს ცხრილში ოთხქულიანი უპირატესობა შეენარჩუნებინა.

— ყოველთვის სამწუხაროა გოლს მაშინ რომ გაუშვებ, როდესაც თამაში ფაქტობრივად დამთავრებულია, მაგრამ ტყუილს ვერ ვიტყვი, შედეგი სამართლიანი იყო — აღიარა „უდინეზეს“ მწვრთნელმა ალბერტო ზაკერონიმ.

REUTERS ფოტოები



პარმა — ინტერი. ფრანჩესკო მორიერო (მარჯვნივ) მილანელთაგან საუკეთესო იყო

#### პაპუნა ძედია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 24 | 15 | 7 | 2 | 50:20 | 52 |
| ლაციო | 24 | 14 | 6 | 4 | 42:17 | 48 |
| ინტერი | 24 | 14 | 5 | 5 | 41:21 | 47 |
| პარმა | 24 | 12 | 8 | 4 | 39:23 | 44 |
| უდინეზე | 24 | 12 | 7 | 5 | 44:29 | 43 |
| რომა | 24 | 11 | 8 | 5 | 43:29 | 41 |
| ფიორენტინა | 24 | 10 | 9 | 5 | 45:27 | 39 |
| მილანი | 24 | 10 | 8 | 6 | 30:22 | 38 |
| სამპდორია | 24 | 9 | 7 | 8 | 39:40 | 34 |
| ვიჩენცა | 24 | 8 | 5 | 11 | 26:44 | 29 |
| ბოლონია | 24 | 6 | 9 | 9 | 33:34 | 27 |
| ბრეშა | 24 | 7 | 5 | 12 | 32:38 | 26 |
| ბარი | 24 | 7 | 5 | 12 | 22:34 | 26 |
| პიაჩენცა | 24 | 4 | 12 | 8 | 18:28 | 24 |
| ემპოლი | 24 | 6 | 5 | 13 | 34:43 | 23 |
| ატალანტა | 24 | 4 | 9 | 11 | 19:34 | 21 |
| ლეჩე | 24 | 3 | 4 | 17 | 18:55 | 13 |
| ნაპოლი | 24 | 2 | 5 | 17 | 15:52 | 11 |

#### სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 25 | 14 | 9 | 2 | 49:21 | 51 |
| ვენეცია | 25 | 13 | 7 | 5 | 39:22 | 46 |
| კალიარი | 25 | 12 | 10 | 3 | 37:20 | 46 |
| რეჯანა | 25 | 10 | 7 | 8 | 26:20 | 37 |
| ტორინო | 25 | 10 | 7 | 8 | 36:32 | 37 |
| პერუჯა | 25 | 9 | 10 | 6 | 27:26 | 37 |
| ჯენოა | 25 | 10 | 6 | 9 | 38:37 | 36 |
| ლუკეზე | 25 | 9 | 7 | 9 | 26:27 | 34 |
| ტრევიზო | 25 | 8 | 10 | 7 | 26:29 | 34 |
| ვერონა | 25 | 9 | 6 | 10 | 34:27 | 33 |
| რეჯინა | 25 | 8 | 9 | 8 | 22:26 | 33 |
| კიევო | 25 | 8 | 9 | 8 | 24:29 | 33 |
| ფ.ანრია | 25 | 7 | 10 | 8 | 27:29 | 31 |
| პესკარა | 25 | 8 | 7 | 10 | 27:33 | 31 |
| მონცა | 25 | 5 | 13 | 7 | 33:36 | 28 |
| რავენა | 25 | 6 | 8 | 11 | 24:29 | 26 |
| ანკონა | 25 | 5 | 9 | 11 | 29:39 | 24 |
| ფოჯა | 25 | 5 | 8 | 12 | 26:37 | 23 |
| დი სანგრო | 25 | 3 | 13 | 9 | 28:41 | 22 |
| პადოვა | 25 | 4 | 9 | 12 | 16:34 | 21 |

პარგა ხანია, საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ასე არ გამძაფრებულა — ერთბაშად ხუთ გუნდს აქვს პირველობის მოპოვება რეალური შანსი. რაც დრო გადის, დაძაბულობა სულ უფრო მატულობს. ეს, ცხადია, ჩემპიონატის დასასრულის მოახლოებასთანაა დაკავშირებული.

ქვეყნის პირველი გუნდის სახელისათვის მებრძოლი გუნდებიდან ორს — „მეცს“ და „ლანსს“ აქამდე ტიტული არ მოუგიათ, წელს კი რომელიმე მათგანი ალბათ ნავსს გატეხს, ყოველ შემთხვევაში, თავად ამის დიდი იმედი აქვთ. ბოლო ტურში „მეცმა“ „მარსელს“ სძლია 3:2, „ლანსმა“ კი ჩემპიონი „მონაკო“ დაამარცხა 1:0.

# ერთნაირები

...მეციც და ლანსიც საფრანგეთის სამხრეთით მდებარე ქალაქებია. ცოტა უცნაური კია, პარიზსაც ქალაქი უწოდო და მათაც, იმდენად დიდი სხვაობაა მათ შორის, მაგრამ ასეა თუ ისე, ორივე ქალაქია და თავიანთი საფეხბურთო კლუბებიც ჰყავთ, თუმცა გუნდები რაიმე სერიოზული მიღწევებით ვერ დაიკვეხნიან. თუ მოხდა და რომელიმემ ჩემპიონობა მოიგო, მათთვის ეს ყველაზე დიდი მიღწევა იქნება. „მეციც“ და „ლანსიც“ იგივე „მონაკოზე“, „მარსელზე“, ანაც პსჟ-ზე ფინანსურად ნაკლებშეძლებულნი არიან, მაგრამ ფეხბურთში და საერთოდ ცხოვრებაში ფული რომ არ არის მთავარი, ამას ქვეყნის პირველობაც ამტკიცებს — ღარიბი (ცხადია, საფრანგეთის მდიდარ გუნდებთან შედარებით), არაფრით გამორჩეული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდები უფრო მეტს აღწევენ, ვიდრე მდიდარი, სახელოვანი ვარსკვლავებით სავსე მეტოქენი. ყოველ შემთხვევაში, ამ ჩემპიონატში ასეა.

— გეტყვით, რაც მინდა. ახლა მეორე ადგილზე კი ვართ, მაგრამ ჩემპიონობაზე სერიოზულად აქამდე არ გვიფიქრია. სეზონის წინ ხეირიანად ასპარეზობას ვგეგმავდით, მაგრამ ზოგს თურმე ჩავარდნა დაეგეგმა, — იხუმრა „ლანსის“ მწვრთნელმა დანიელ ლეკლერმა და იქვე განაგრძო, — შარშან გახსოვთ, მე-13 ადგილზე გავედით, წლევანდელის დარ პროგრესს კი ნამდვილად არ ველოდი. ჩემპიონობა თუ მოვიგეთ, კარგია, მაგრამ არც პრიზიორთა შორის მოხვედრაზე დამწყდებოდა გული. ისე, გულახდილად გეტყვით, მინდა, ჩემპიონობა „მეცმა“ ან ჩვენ მოვიგოთ. აქამდე ტიტული არც ერთს გვქონია, თან ორივენი ერთნაირ, ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობთ. ჩვენ, სამხრეთელები, ერთნაირი მენტალიტეტის ხალხი ვართ. დამიჯერეთ, „მეცის“ გაჩემპიონება კი არ მეწყინება, პირიქით, გამიხარდება.

...გაუხარდება „ლანსს“ „მეცის“ გაჩემპიონება? მწვრთნელი კი ამბობს, კიო, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია. თან თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პირველობის დასასრულამდე 6 ტურია დარჩენილი და პირველ-მეორე ადგილზე მყოფ „მეცს“ და „ლანსს“ მხოლოდ ქულა აშორებთ, ლეკლერის ნათქვამი შეიძლება არარეალურადაც მოგვეჩვენოს. იქნებ კიდეც ვცდებით, ვინ იცის?


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**სუპერთასი. II მატჩი**

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — ბარსელონა | 2,0 | 2,9 | 3,2 |

**ამხანაგური მატჩები**

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| არგენტინა — ბულგარეთი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| მექსიკა — კოლუმბია | 2,2 | 2,8 | 2,9 |

**იტალია. თასის ნახევარფინალი. II მატჩები**

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლაციო — იუვენტუსი | 2,3 | 2,8 | 2,7 |

12 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| პარმა — მილანი | 2,2 | 2,8 | 2,9 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXI ტური**

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნუმანსია — ეიბარი | 2,5 | 2,8 | 2,4 |
| ალბასეტე — ლას პალმასი | 3,6 | 3,0 | 1,8 |
| ტოლედო — ლეიდა | 2,0 | 2,8 | 3,3 |
| ვილიარეალი — ორენსე | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| რაიო — ხაენი | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| ერკულესი — სერესი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| ოსასუნა — ელჩე | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| ლევანტე — ესტრემადურა | 4,4 | 3,2 | 1,6 |
| ალავესი — ბადახოსი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| ლეგანესი — ლოგრონიესი | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| ატლეტიკო B — სევილია | 1,9 | 2,9 | 3,4 |

**გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXIV ტური**

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — ნიურნბერგი | 2,3 | 2,9 | 2,6 |

**ჰოლანდიის თასი. მეოთხედფინალი**

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტვენტე — ვიტესი | 2,5 | 2,7 | 2,5 |
| აიაქსი — ბრედა | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| ეინდჰოვენი — ფეიენოორდი | 1,6 | 3,1 | 4,7 |

**ავსტრიის ჩემპიონატი. XXIV ტური**

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| რაპიდი — შტურმი | 2,1 | 2,8 | 3,1 |

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრაცი — აუსტრია | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| ლინცი — ლუსტენაუ | 1,5 | 3,4 | 5,0 |
| ადმირა — ზალცბურგი | 4,2 | 3,3 | 1,6 |
| ტიროლი — რიდი | 1,5 | 3,4 | 5,0 |

**თურქეთის თასი. ნახევარფინალი. II მატჩები**

10 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — ქოჯაელი | 1,4 | 3,5 | 6,0 |

11 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — ტრაბზონი | 1,7 | 3,0 | 4,2 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ჩოგბურთი

# ყველაზე ლამაზი ტიტული

**როტერდამი. ჰოლანდია. ABN AMRO-ს პირველობა. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 750 ათასი $**

**მეოთხედფინალი: იან სიმერინკი (ჰოლანდია) — პატრიკ რაფტერი (1, ავსტრალია) 6:4, 6:4; რიჩარდ კრაიჩეკი (5, ჰოლანდია) — გრეგ რუზეცკი (3, ინგლისი) 3:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:3); ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — იოჰან ვან ჰერკი (ბელგია) 7:6 (10:8), 6:2; ბრეტ სტივენი (ახალი ზელანდია) — ტომას კარბონელი (ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:5), 7:5.**

**ნახევარფინალი: სიმერინკი — კრაიჩეკი 6:4, 4:6, 6:4; იოჰანსონი — სტივენი 6:3, 7:5.**

იან სიმერინკმა მარტომ იზრუნა იმაზე, რომ როტერდამის ტურნირის ფინალამდე არც ერთ ბობოლას არ მიეღწია: აქამდეც არაერთხელ დაბრიყვებულ გორან ივანიშევიჩს (8) ჰოლანდიელმა მეოთხედფინალში გრიპშეყრილი ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული პატრიკ რაფტერი (1) მიაყოლა, ნახევარფინალში კი თანამემამულე რიჩარდ კრაიჩეკიც (5) გააწბილა. 1996 წლის უიმბლდონის ჩემპიონ კრაიჩეკს, რომელსაც გრეგ რუზეცკისთან წინა



სიმერინკმა თან გაიხარა, თან იხეირა

შეხვედრაში 24 ეისი დაუგროვდა, ამჯერად სამიზნე მოეშალა, რაც პირველი მოწოდების საოცრად დაბალ პროცენტსა (42) და უამრავ ორმაგ შეცდომაში გამოიხატა. არცთუ თვალსასეირო მატჩში, რომელშიც უკანა ხაზზე ერთი გათამაშებაც (!) კი არ დაფიქსირებულა, მეტოქეები ბადესთან გასვლებით ცდილობდნენ უპირატესების მოპოვებას, რაც ერთიმეორის სუსტი მიღებების გათვალისწინებით, ძნელი სულაც არ იყო. კრაიჩეკი პირველი და მესამე სეტების ბოლო გეიმებმა დალუპა, როცა ორმაგ შეცდომებს ბადესთან უხეირო თამაში მიაყოლა და ერთი შეხედვით ტაი-ბრეიკისთვის განწირული პარტიები უდროოდ დაასრულა. „ეტყობა, რუზეცკისთან დამღლელმა შეხვედრამ თავისი ქნა" — განაცხადა დამარცხებულმა, რომელიც ახლა ჩოგბურთს ექვსი კვირით ჩამოშორდება: მისი საცოლე დაფნი დეკერსი დღედღეზე პირველი შვილის დაბადებას ელის.

**ფინალი: სიმერინკი — იოჰანსონი 7:6 (7:2), 6:2.**

სამი განთესილის გამგდები სიმერინკისთვის ფინალი თითქოს იოლი გასეირნება უნდა ყოფილიყო, მაგრამ 22 წლის ტომას იოჰანსონმა, რომელსაც პირველ წრეში ევგენი კაფელნიკოვის დამარცხების შემდეგ ხეირიანი მეტოქე აღარც შეხვედროდა, ჰოლანდიელი გვარიანად გააწვალა. შვედმა მუდმივად ბადესთან მყოფი სიმერინკის შემოვლებებს დაშინება არჩია — მთელი ძალით დარტყმულ ბურთებს პირდაპირ ტანზე უმიზნებდა ხოლმე. ამით მან უპირატესობა კი მოიპოვა, მაგრამ ბრძოლით გახერხებული ბრეიკ-პოინტების გამოყენება ვერაფრით შეძლო, პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე წააგო და გაღიზიანებულს მეორეში მატჩის ბედი შემობრუნება აღარც უცდია. იან სიმერინკმა, რომელიც შარშან კლასიფიკაციაში მე-15-დან 122-ე ადგილზე დაქვეითდა, კარიერაში მესამე, მისივე თქმით „ყველაზე ლამაზი" ტიტული მოიგო და ამასობაში დაკარგულ პოზიციებსაც მიუახლოვდა. მას გამარჯვებისთვის 101 500 დოლარი ერგო.

**სკოტსდეილი. აშშ. ფრანკლინ ტემპლტონ კლასიკი. ტარდება ჰარდზე საპრიზო ფონდი 345 ათასი აშშ $**

**მეოთხედფინალი: სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — ალბერტ კოსტა (2, ესპანეთი) 6:3, 6:4; ანდრე აგასი (აშშ) — ჟან მაიკლ გემბილი (აშშ) 6:3, 7:6 (7:5); ტომი ჰაასი (გერმანია) — სებასტიან ლარო (კანადა) 6:4, 6:1; ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:5, 7:6 (14:12).**

**ნახევარფინალი: ანდრე აგასი — ტომი ჰაასი 6:2, 6:1; ჯეისონ სტოლტენბერგი — სხენგ შალკენი 6:3, 6:3.**

ანდრე აგასის შაბათს ერთბაშად ორი შეხვედრის გამართვამ მოუწია — ჯერ წვიმისა და ქარიშხლის გამო გადადებულ მეოთხედფინალში 20 წლის თანამემამულე გემბილს აჯობა, მერე კი მასთან შეხვედრაზე მეოცნებე 19 წლის ტომი ჰაასს 59 წუთში ჩაუშხამა ეს დღესასწაული. „საკუთარ თავს არაფერს დავაბრალებ, აგასის დღეს ვერავინ მოუგებდა. ბოლოს და ბოლოს, ერთსაათიანი ჩოგბურთის გაკვეთილი ხომ მაინც მივიღე." — განაცხადა ჰაასმა, რომელიც ძია ანდრემ შეუბრალებლად არბენინა კორტის ერთი კიდიდან მეორემდე. მეორე ნახევარფინალში კოჭნაღრძობმა ოზმა სტოლტენბერგმა ფაღარათშეყრილი ჰოლანდიელი სხენგ შალკენი დაამარცხა და სეზონის მეორე ფინალში გააღწია.

**ფინალი: აგასი — სტოლტენბერგი 6:4, 7:6 (7:3).**

„მსურს, რომ 1998 წლის ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვიყო" — განაცხადა მორიგი გამარჯვების შემდეგ კაცმა, რომელსაც ორიოდე თვის წინ კლასიფიკაციაში 120-ე ადგილი ეჭირა. დიახ, ანდრე აგასი მართლა დაბრუნდა, დაბრუ-



აგასი მართლა დაბრუნდა

ნდა არა მარტო მსფლიოში საუკეთესო მიღებებითა და უძლავრესი დარტყმებით, არამედ მთელი თავისი თავდაჯერებითა და ზოგჯერ გამაღიზიანებელი გამოთქმებითაც. ჩოგბურთელმა, რომელიც კატასტროფული 1997 წლის შემდეგ ბევრმა საბოლოოდ ჩამოწერა, ზედიზედ მეორე ტურნირი, ზედიზედ მეათე მატჩი მოიგო და ამჟამად ATP ტურის საუკეთესო შედეგი გააჩნია ამ სეზონში — 16 მოგება, 2 წაგება: „შარშანდელი სეზონის ბოლოს გადავწყვიტე რომ უკანალს ქონებს თუ მოვაკლებდი, იქნებ რაიმესთვის კიდევ მიმეღწია. და აი, ახლა აქა ვარ, თავს ისევ ახალბედასავით ვგრძნობ და ასე მგონია, მილიონი დოლარი მიჭირავს ხელში." ისე კი კარიერაში 36-ე და სკოტსდეილში მესამე ტიტულის მოგებისთვის ანდრეს მხოლოდ 45 ათასი დოლარი ერგო.

**ინდიან უელსი. აშშ. ევერტის თასი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 1 250 000 აშშ $**

**პირველი წრე: აი სუგიამა (11, იაპონია) — კერი-ენ გიუზი (კანადა) 6:3, 6:3; რუქსანდრა დრაგომირი (13, რუმინეთი) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 6:3; ნატაშა ზვერევა (15, ბელარუსი) — სონია ჯეიასლანი (კანადა) 6:2, 6:4; ანა კურნიკოვა (16, რუსეთი) — ალესია დეშომბალრე (საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:0; ბარბარა პაულუსი (ავსტრია) — იაუკ ბაზუკი (ინდონეზია) 6:4, 1:6, 6:3; სანდრინ ტესტიუ (9, საფრანგეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:1, 6:1; დომინიკ ვან რუსტი (10, ბელგია) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:1, 6:3; მაიკე ბაბელი (გერმანია) — ბრენდა შულცმაკარტი (14, ჰოლანდია) 6:7 (2:7), 6:3, 7:6 (9:7).**

# შტეფი ისევ ფეტიშია

შტეფი გრაფის პოპულარობას წლები ვერაფერს აკლებს: თებერვალში რვათვიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თავისი პირველი მატჩი რომ გამართა თვისტომ ანდრეა გლასთან, ტელეარხ ARD-ის ტრანსლაციას 1,1 მილიონი კაცი ადევნებდა თვალყურს, გაცილებით მეტი, ვიდრე კონკურენტ ZDF-ზე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს.

სპორტში დაბრუნებულ შტეფის სხვაგვარადაც ეძლევა თავის გამოჩენის შანსი — იგი, ალბათ, მალე გაუსწრებს მარტინა ნავრატილოვას კორტზე მოპოვებული საპრიზოების ოდენობით. სპორტსმენ ქალთაგან მხოლოდ ამ ორს მოუხვეჭია 20 მილიონ დოლარზე მეტი: შტეფის — 20 087 960, მარტინას — 20 344 061.

# მარტინა შარს ეძებს



ჰინგისი დედას არ უჯერებს

მარტინა ჰინგისს ცხენების ტრფიალი საკმაოდ ძვირი დაუჯდა. შარშან გაზაფხულზე ერთმა ჯიშიანმა ბედაურმა ისე გადმოაგდო, მუხლის ოპერაციის გაკეთება და ერთი თვით იძულებით დასვენება დასჭირდა. ამის შემდეგ მსოფლიოს პირველ ჩოგანს საცხენოსნო გმირობების გამოჩენა დედამ სასტიკად აუკრძალა, მაგრამ მშობლის გულის გასახეთქად მარტინამ ახალი ჰობი გაიჩინა — კლდეზე ცოცვა, რისი საშუალებაც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ნეპალში მოწყობილი ტურის დროს მიეცა. 17 წლის ჩოგბურთის პირველმა ლედიმ ამ ორგანიზაციას შარშან 83 ათასი დოლარი გადაურიცხა, ნეპალში სტუმრობისას კი ბავშვებისა და ახალგაზრდა დედებისთვის ტეტანუსის ვაქცინების დარიგებაც არ დაზარებია. მელანი მოლიტორმა კი კლდეზე ბლოტიალს ისევ შეჩვეული ჭირი არჩია და ჰიმალაებიდან მობრუნებულ შვილს დოლის ბილეთები დაახვედრა.

ავთანდილ სვანიძე

# ეს ექიმი საექიმოა

ტომას მუსტერი განცვიფრებული დარჩა, როდესაც ავსტრიის დევისის თასის გუნდის ექიმმა რუდოლფ შაბუსმა მოულოდნელად პრესას განუცხადა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო ტომასმა ჩოგბურთს თავი უნდა დაანებოსო: „მუხლების ქრონიკული ტკივილისა და ოპერაციის შედეგად მარცხენა ფეხის დამოკლების გამო მე მას აღარ ვურჩევდი თამაშის გაგრძელებას". მაგრამ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მაშინ უფრო განცვიფრდა, როდესაც მეორე დღესვე შაბუსმა ოფიციალურად მოიბოდიშა, მუსტერი ერთი წელია არ მინახავს და რას ვერჩოდი, თავად არ ვიციო.

# თეთრი და, შავი და...

როდესაც ვინუს და სერენა უილიამსებმა გასულ კვირაში ოკლაჰომა სიტის IGA კლასიკის ტურნირი მოიგეს, WTA ტურის წყვილთა ტიტულის მფლობელი დების მესამე დუეტი შეიქნენ. აქამდე მსგავსი წარმატებისთვის მალეევათა საჩოგბურთო კლანის უფროს წარმომადგენლებს — მანუელასა და კატერინას მიუღწევიათ 1985 წელს, ინდიანაპოლისის თიხნარის ტურნირზე. ერთი წლით ადრე კი იუტას ვირჯინია სლიმზის პირველობა ენ და ელიზაბეტ მინტერებს მოუგიათ.

კრივი

# ორი ფრე: კინგის დუშაში ეს ბებერი ქალებსაც შეეჭიდა

ოთხი დღის წინათ მეხიკოში გაძარცულ დონ კინგს აღარც ახსოვს თავისი ბრილიანტებიანი „როლექსი". ასი ათასი დოლარიც წყალს და მეწყერს წაუღია, რადგან მსოფლიო კრივის ობერთაღლითი მეფე მართლაც რომ იღბლიანი კაცია:

აგე, რა დუშაში გაუგორდა შაბათ საღამოს „პლასა მეხიკოში" — ორი საჩემპიონო ბრძოლა მოაწყო და ორივე ფრედ დამთავრდა. ასეთი რამ კი კრივში იშვიათად ხდება, კინგს ორივე ჯახის ხელახლა გამართვა მოუწევს, ეს კი ერთ იმდენ ფულსა და ერთიმდენ, 50 ათას მოსეირეს ნიშნავს.

შაბათის მთავარი ორთაბრძოლა ზემსუბუქი წონის (63,5 კგ) საბჭოს ქამრისთვის იყო ორ მექსიკელს შორის. 100 ბრძოლის მომგები ხულიო სეზარ ჩავესი ასევე განთქმულ მიგელ ანხელ გონსალესს ხვდებოდა. მთელი თორმეტი რაუნდი ცეცხლოვანი იყო. ადრეულ რაუნდებში მიგელმა სისხლი გაადინა ექვსგზის ჩემპიონს, მაგრამ ჩავესმა მაინც მოახერხა და თავისი განთქმული აგრესია დააფრქვია რინგზე. აქამდე ჩავესს მხოლოდ ორი წაგება ჰქონდა, გონსალესს — ერთი და ეს მაჩვენებლები არ შეცვლილა. სამი დამთვლელი მსაჯიდან ერთმა ჩავესს მოაგებინა, მეორემ გონსალესს, მესამემ კი დარტყმები თანაბრად დათვალა. ასე რომ, ფრე გამოვიდა.

„ძნელია მოგებული გაარკვიო, ასე რომ, ხელახლა მოგვიწევს ორთაბრძოლების გამართვა" — თქვა კინგმა.

სანამ ჩავესი და გონსალესი შაბათის მთავარ ჩხუბში, „მეინ ივენთში" ერთმანეთს დაასისხლიანებდნენ და ქამარი მაინც სადავოდ დაურჩებოდათ, რამდენიმე გამახურებელი ბრძოლა გაიმართა. აქ მნიშვნელობით უპირველესი „ანდერქარდი" საჩემპიონო იყო — ჩალის წონის (47,5 კგ) მოკრივენი, საბჭოს მექსიკელი ჩემპიონი რიკარდო „ელ ფინიტო" ლოპესი და ასოციაციის ჩემპიონი როსენდო ალვარესი ერთმანეთისთვის ქამრების წართმევას ეშურებოდნენ. უმსუბუქეს წონათა პრესტიჟი არცთუ მაღალია და ამ საქმეშიც ფული ცოტა ძევს, თორემ ფინიტოცა და როსინდოც დაუმარცხებელი ბიჭები არიან. ლოპესს შვიდი წელიწადია, რაც ქამარი უპყრია და კრივის ისტორიაში ყველაზე მეტჯერ, 20-ჯერ დაუცავს იგი, ალვარესი კი ნიკარაგუას ყველაზე სახელოვანი მოკრივეა ალექსის არგუელოს შემდეგ. ეს შეტაკებაც გვარიანი გამოვიდა. ალვარესმა კარიერის პირველი ნოკდაუნი აგემა ფინიტოს და ჩხუბიც დიდი გახურდა. მაგრამ ბედი არ გინდა? მეშვიდე რაუნდში ნიკარაგუელმა თავი აჯახა მექსიკელს და მარჯვენა უპესთან ხუთსანტიმეტრიანი იარა გაუხსნა.

რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა და დამთვლელებს მიადგა. აქ ერთმა ლოპესს მოაგებინა, მეორემ ალვარესს, მესამემ კი ფრე აღნიშნა. იმ საღამოს პირველი ფრე! აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ეს შაბათი ყაიმისა იყო?

დონ კინგმა კი ახალი გეგმა დასახა — ეგებ ეს ორი წყვილი ერთმანეთს სხვაგან შევაჯიბროო. ეს ჩავესსაც მოეწონა, მეხიკოში დიდი გადასახადებია და ხელის მოთბობა სხვაგან აჯობებსო. მაგრამ ეშმაკ კინგს სხვა მიზანი აქვს. მას უნდა, რომ ჩავეს-გონსალესის „ანდერქარდში" ქალთა ორთაბრძოლები ჩართოს. მექსიკაში კი ჯერ კიდევ 40-იან წლებში მიუღიათ კანონი დედაკაცთა ჩხუბის ასაკრძალად.

მოკრივე ქალები კინგს შეგულებული ჰყავს: განთქმული ამერიკელი კრისტი მარტინი და მექსიკელი ლაურა სერანო, რომლებიც, კინგისავე აზრით, უფრო სუსტ დედაკაცებს შეხვდებიან, დაასისხლიანებენ და ამ სანახაობით ეგებ საკაბელო არხებიც დაინტერესდნენო.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

მთის თხილამურობა

# მაიერი არხეინად წამოწვა

განთქმულმა ავსტრიელმა მოთხილამურემ, ნაგანოში მთების შემშინებელმა და ორ ოქროს დაპატრონებულმა ჰერმან მაიერმა ისე მოიგო მსოფლიო თასი, რომ მის ბოლო ეტაპზე არც კი ჩასულა ნორვეგიულ კვიტფიელში.

გიგანტური სლალომის ავსტრიელი მეფე ზურგის ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა მსოფლიო თასის მეხუთე ეტაპზე, თუმცა, როგორც გაირკვა, სავარძელში მჯდომიც ჩემპიონად გამოცხადდა, რახან თასის პირველი ოთხი ეტაპი პირწმინდად ჰქონდა მოგებული. მისი უახლოესი მდევარი, თანაგუნდელი ანდრეას შიფერერი ტრასიდან გადავარდა და საერთო ცხრილში მაიერის დაწევის ყოველგვარი შანსი დაკარგა.

სუპერგიგანტი კი ასევე ავსტრიელმა ჰანს კნაუსმა მოიგო, რომელმაც საერთო ცხრილში მეხუთე ადგილამდე აინაცვლა და საერთოდაც, მსოფლიო თასის პირველ ხუთეულში



მაიერი: გიგანტური სლალომის გიგანტი

ოთხი ავსტრიელია: მაიერი, შიფერერი, სტეფან ებერჰარტერი და კნაუსი. მხოლოდ მეოთხე ადგილზეა გამოჩხერილი ერთი ნორვეგიელი კიეტელ ანდერ აამოდტი.

მაიერი კი პირველი ავსტრიელია, 1970 წლის, კარლ შრანცის დიადი წელწადის შემდგომ მამაკაცთა ყოვლისმომცველ სამთო ტიტულს რომ დაეუფლა. თანაც, მას გულს უმაგრებს ნაგანოში მოგებული სუპერგიგანტის და გიგანტური სლალომის ოქროს მედლები.

მძლეოსნობა

# ქალებს ფრენის ერთთვიური აქვთ

ამერიკელმა სტეისი დრაგილამ და ჩეხმა დანიელა ბარტოვამ მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ქალთა შორის ჭოკით ხტომაში. ეს მოხდა გერმანულ ზინდელფინგენში, დარბაზში შეჯიბრებისას.

ორივე მხტომელი 448 სანტიმეტრის სიმაღლეზე შემოდებულ თამასას გადაევლო. ოღონდ ეგ არის, რომ ამერიკელმა ჩემპიონობა ივდო ხელთ, რახან პირველსავე ცდაზე გადაევლო თამასას, ჩეხმა კი ეს მხოლოდ მესამე ცდაზე მოახერხა.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ 1 მარტიდან მოყოლებული ქალ მეჭოკეთა შორის ალმაფრენა შეინიშნება. ჯერ იყო და, უკრაინელი ანჟელა ბალახონოვა გადაევლო 445 სანტიმეტრს სევილიის ევროპის ჩემპიონატზე, რითაც ასევე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მაგრამ ამ რეკორდმა ხუთი დღე გასტანა: 6 მარტს ჩეხმა ბარტოვამ 446 სანტიმეტრს უწია და რეკორდი გააუმჯობესა. 7 მარტს კი, ადელაიდაში, ავსტრალიელი ემა ჯორჯი 447-ს გადაევლო, ხოლო 8 მარტს დრაგილამ და ბარტოვამ ერთად დაამხეს ერთი კვირის ნაჯახირალი რეკორდი.

რეგულარული ჩემპიონატი

# მტრისას, გარუსებული არარუსი

### პიტსბურგი 6:4 ფილადელფია

**შაიბები: სილინჯერი 12 (0:1, ბარნსი 26 (1:1), ბრინდამორი 28 (1:2), სილინჯერი 13 (1:3), ფრენსისი 20 (2:3), ლინდროსი 28 (2:4), შლეგრი 5 (3:4), მოროზოვი 10 (4:4), სტრაკა 11 (5:4), იაგრი 28 (6:4)**

### ფილადელფია 4:3 პიტსბურგი

**შაიბები: სილინჯერი 14 (1:0), ვერენკა 3 (1:1), ლეკლერი 39 (2:1), სტრაკა 12 (2:2), ბოდინი 8 (3:2), იაგრი 29 (3:3), დეიგლი 8 (4:3)**

რუსეთის ნაკრების და პიტსბურგის მცველი დარიუს კასპარაიტისი მუდამ რისხვამუქარად ატყდება თავის მოწინააღმდეგე ფორვარდებს, განსაკუთრებით კი ერიკ ლინდროსს არ სწყალობს. შაბათსაც არ მოასვენა მთავარი „მფრინავი“ და მხრით ისე დაეჯახა, სახელგანთქმულ ჰოკეისტს გონი დააკარგვინა. ფილადელფიელთა თავდამსხმელმა მხოლოდ პარტნიორთა დახმარებით შეძლო მოედნიდან გასვლა. როგორც მერე გაირკვა, მას ტვინის შერყევა მიუღია და 10-14 დღის განმავლობაში იძულებით დაისვენებს. გაოგნებულ ლინდროსს მატჩის შემდეგ საუბარი უჭირდა: „მხოლოდ დაღლასა და თავის ტკივილს ვგრძნობ. ნეტავ მალე მივიდე შინ და დავიძინო“.

ლინდროსის ტრავმამ ისე იმოქმედა მანამდე კარგად მოთამაშე სტუმრებზე, რომ ისინი საბოლოოდ დაიბნენ და ბოლო მესამედში 3 უპასუხო გოლი გაუშვეს, თანაც სამივეში იარომირ იაგრმა (1+3,28) მიიღო უშუალო მონაწილეობა. ფილადელფიელთაგან სადებიუტო მატჩს ატარებდა მეკარე შონ ბურკი, რომელსაც მეორე პერიოდში ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და იგი შეცვალეს: პიტსბურგის კარში დიდი ხნის უთამაშებლობის შემდეგ პირველად ჩადგა კენ რეგეტი, რომელიც ასევე დაშავებული გახლდათ.

ცხადია, რომ მეორე მატჩში „მფრინავებს“ მოგებაზე მეტად (არადა, ლიგის ოთხ უძლიერეს გუნდთან გამართულ ცხრა თამაშში მათ მხოლოდ ერთი ქულა მიითვალეს) კასპრაიტისთან ანგარიშსწორება სურდათ. პირველივე პერიოდში პიტსბურგის მცველს სამჯერ მოუხდა ჩხუბი ფილადელფიის ფორვარდებთან, თანაც, მთელი მატჩის განმავლობაში მაყურებლებმა უსტვინეს. სანახაობრივი თვალსაზრისით კი საპასუხო შეხვედრა არაფრით ჩამოუვარდებოდა პირველს, ოღონდ ამჯერად სულ წინ მყოფმა მასპინძლებმა ინიციატივა ბოლომდე არ დათმეს და ოვერტაიმში გაიმარჯვეს კიდეც. პიტსბურგელთაგან კვლავ საუცხოოდ ითამაშა იაგრმა (1+1,29) რომელმაც ძირითადი დროის დამთავრებამდე 15 წამით ადრე გაათანაბრა ანგარიში და 78 (28+50) ქულით კვლავ დაწინაურდა ბომბარდირთა სიაში.

## ასე იწერება ისტორია

### ნიუ ჯერსი 6:3 რეინჯერსი

**შაიბები: ტომასი 12 (1:0), სტოკი 2 (1:1), ნიდერმაიერი 10 (2:1), ლიჩი 15 (2:2), არნოტი 9 (3:2), გრეცკი 16 (3:3), ოლივა 1 (4:3), ჰოლიკი 27 (5:3), სიკორა 14 (6:3)**

მატჩის 36-ე წუთზე მოხდა ის, რასაც ჰოკეის გულშემატკივრები მთელი სეზონის განმავლობაში ელოდნენ. რიცხვმრავლობაში მყოფმა სტუმრებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და მეკარესთან მარტოდ დარჩენილმა გრეცკიმაც დაარტყა: შაიბა ბროდოს ცივურამ აისხლიტა და... დიდმა უეინმა მე-1000 გოლი გაიტანა!

ამის შემდეგ სტუმრები, რომლებიც მანამდე არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მრისხანე ნიუ ჯერსის და სამჯერ გაათანაბრეს კიდეც ანგარიში, რატომღაც მოეშვნენ და ბოლო მესამედის სამ წუთში 3 გოლი გაუშვეს. ყოველივე ამას ნიუჯერსელთა „მეომარმა“ დებიუტანტმა, პოლონელმა კშიშტოფ ოლივამ ჩაუყარა საფუძველი, რომლის ანგარიშზეც აქამდე ნათამაშევ 52 მატჩში მხოლოდ 1 პასი იყო — მან კარიერაში პირველი გოლი გაიტანა. მასპინძელთა გამარჯვება ჩეხებმა — ჰოლიკმა (1+1) და სიკორამ (1+1) დაასრულეს, რაც შეეხება რეინჯერსს, მას ამ დამარცხებით პლეი-ოფში მოხვედრის შანსი კიდევ უფრო შეუმცირდა.

**6 მარტი. ბუფალო — აილენდერსი 2:4, ანაჰაიმი — სან ხოსე 0:3, ფინიქსი — კაროლინა 4:5**
**7 მარტი. ვანკუვერი — ტამპა 5:2, ტორონტო — ედმონტონი 4:1, მონრეალი — ბუფალო 1:2, ოტავა — კალგარი 2:1, აილენდერსი — კოლორადო 2:4, ბოსტონი — ჩიკაგო 1:2, ვაშინგტონი — ფლორიდა 6:3, სენტ ლუისი — დალასი 2:1, ლოს ანჯელესი — დეტროიტი 2:1**
**8 მარტი. ანაჰაიმი — კაროლინა 1:3, ფინიქსი — დალასი 1:1**



„ჰკა მაგას“: გაცხარებულმა ფილადელფიელებმა კასპარაიტისი (შუაში) კინაღამ ჩაქოლეს

სენტ ლუისის მთავარი მეკარის გრანტ ფიურის მძიმე ტრავმამ, რომელიც მას, ფაქტობრივად, მთელ დარჩენილ ჩემპიონატს გამოატოვებინებს, მავანთ აფიქრებინა, რომ „ბლუზმენებს“ ამიერიდან მძიმე დღეები დაუდგათ. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, მისი შემცვლელი, 26 წლის ჯემი მაკლენანი ისე ათამაშდა, კლუბის ხელმძღვანელებს ასარჩევად გაუხდათ საქმე — მართლაც, იოლი როდია რომელიმე მათგანისთვის უპირველესის სტატუსის მინიჭება. მაკლენანი, რომელსაც ამჯერად ჩემპიონატის ლიდერის, დალასის თავდამსხმელები დაუპირისპირდნენ, კვლავ საუცხოოდ გაისარჯა, მან მხოლოდ ერთხელ ვერ შეძლო ჯო ნუინდაიკის (26) შეჩერება. მისი საიმედო თამაშით გამხნევებულმა სენტლუისელებმა ზედიზედ მეხუთედ მოიგეს.

მაკლენანს არც დალასელი კოლეგა ბელფორი ჩამორჩა, ამიტომაც შეხვედრა, რომელშიც შედეგიანობით პირველი და მეოთხე გუნდები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, უხვგოლიანი არ გამოდგა. მისი ბედი 51-ე წუთზე პიერ ტარჯონის დარტყმამ გადაწყვიტა. თვით მაკლენანმა ერთობ მოკრძალებულად შეაფასა თავისი გარჯა: „ეს გამარჯვება მთლიანად [illegible] დამსახურებაა, მათ ჩემს კართან ყველა მისადგომი ჩაკეტეს“. სხვათა შორის, სენტ ლუისი ძალიან კარგად უმკლავდება დალასს — წლევანდელი 5 თამაშიდან ჩემპიონატის ლიდერმა მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

ბუფალოელი ჰაშეკის ავტორიტეტი ისე თრგუნავს მოწინააღმდეგე ფორვარდებს, რომ მისი კარის დალაშქვრა მთელი 144 წუთის განმავლობაში ვერავინ შეძლო, მაგრამ აილენდერსთან შეხვედრაში თავად „დომინატორმა“ დაუშვა შეცდომა, რომლითაც ნიუიორკელთა ახალგამომცხვარმა კაპიტანმა ტრევორ ლინდენმა ისარგებლა. ამის შემდეგ სტუმრები, რომლებმაც მანამდე მხოლოდ ორჯერ შეუტიეს მასპინძელთა კარს, გამოცოცხლდნენ. ლინდენისა (2+0,11) და სხვა ლიდერების — პალფის (2 პასი) და რაიხელის ძალისხმევით აილენდერსელებმა ბუფალოელებს 13-მატჩიანი იღბლიანი სერია შეაწყვეტინეს, თანაც რაიხელმა გოლიც გაუტანა თავის თესტომს.

მეორე დღეს კი, მონრეალში, დომინიკი კვლავ შეუდარებელი იყო — კანადელთა თავდამსხმელებმა, კერძოდ, ფინელმა კოივუმ, ერთადერთხელ მოახერხეს მისი მოტყუება. ამას ბუფალოელებმა ბოლო მესამედში ორი შაიბით უპასუხეს.

ოტავა, ისევე, როგორც ბუფალო, აგრძელებს ბრძოლას საპლეიოფო რვეულში მოსახვედრად, თუმცა საამისოდ ახლა მეტად უნდა გაისარჯოს, რადგან კვალდაკვალ რეინჯერსი, კაროლინა და აილენდერსი მიჰყვებიან. დასავლეთის აუტსაიდერ კალგარისთან თანაბარი თამაშის მიუხედავად, მასპინძლებმა მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში სამივე შაიბა რიცხვმრავლობაში გავიდა, გადამწყვეტი კი ოტაველმა ალფრედსონმა (12) შეაგდო. „სენატორებს“ კვლავ დაუბრუნდათ პერსპექტიული ჩეხი ვაცლავ პროსპალი (1 პასი), რომელსაც ტრავმის გამო თვეზე მეტი გაუცდა (იგი ჯერ კიდევ ფილადელფიაში ყოფნისას დაშავდა, მერე კი ოტავაში გაცვალეს).

რაც შეეხება პლეი-ოფში გასასვლელად მებრძოლ სხვა გუნდებს, აღნიშვნის ღირსია კაროლინას მოულოდნელი გამოცოცხლება. მას შემდეგ, რაც სერგეი ფიოდოროვი ვერ გადაიბირეს, „ქარიშხლებმა“ საოცრად იცვალეს სახე და აგერ უკვე ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგეს. უქმეებზე კაროლინელებმა ფინიქსი და ანაჰაიმი იმსხვერპლეს. „კოიოტებთან“ შეხვედრა თავდამსხმელ ჯეფ ონეილის ნამდვილი ბენეფისი გახლდათ: ახალგაზრდა ცენტრფორვარდმა, რომელსაც აქამდე დიდად არ გამოიჩინა თავი, ფაქტობრივად, მარტომ გადაწყვიტა მატჩის ბედი და 4 (2+2) ქულით პირადი რეკორდიც დაამყარა. სწორედ ონეილმა გაიტანა ამ უმძიმეს პაექრობაში გადამწყვეტი გოლი ოვერტაიმში, რაშიც მისი პარტნიორების — ჟელინასა (3 პასი) და ემერსონის (1+1) წვლილიც იყო. ქების ღირსია მეკარე მაკლინიც, რომელმაც 46 დარტყმა მოიგერია.

კვირას კი კაროლინას არ გასჭირვებია ანაჰაიმის ძლევა. „იხვები“, რომელთაც ვერა და ვერ დაუბრუნდათ სელიანე — კარიას წამყვანი დუეტი, მეტად უსუსურად გამოიყურებიან თავდასხმაში და 4 თამაშში შეგდებული ერთადერთი (!) შაიბის იმედად, ცხადია, არ უნდა იყვნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზედიზედ 3 მატჩში ანაჰაიმელებმა საერთოდ ვერ გაიტანეს და ბელარუს სალეის გოლმა ისინი მეტად გაახარა, მიუხედავად იმისა, რომ პრიმოსა (20) და ჟელინას ორი შაიბის წყალობით მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო „ქარიშხლების“ სასარგებლოდ. ასე რომ, ანაჰაიმს, რომელსაც დასავლეთში შეუპოვარი ბრძოლა უხდება თავის კონკურენტებთან, ულიდერებოდ ერთობ გაუჭირდება პლეი-ოფში გასვლა.

წინა შეხვედრაში კალგარის მიერ გამწარებული ვანკუვერი არც ტამპასთან გამოიყურებოდა მრისხანედ. ისიც სათქმელია, რომ სტუმრებმა თავიანთი სათამაშო უპირატესობა შედეგით ვერ ასახეს, მაშინ, როცა „კენაქსის“ ლიდერებმა ჩინებულად გამოიყენეს საგოლე მომენტები. მორიგი დუბლი შეასრულა პაველ ბურემ, რომელიც 39 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერს, ანაჰაიმელ სელიანეს მიუახლოვდა. ერთი გოლიც მარკ მესიემ მიითვალა, ტრავმამოშუშებულმა მოგილნიმ კი 2 პასი გააზერხა. ამასობაში ვანკუვერის მწვრთნელმა მაიკ კინენმა კიდევ ერთი მოთამაშე გაცვალა: ლონი ბოჰონოსი ტორონტოს დაუთმო, მის ნაცვლად კი ფორვარდი კონვერი დაისაკუთრა.

ლოს ანჯელესმა, რომელიც ოთხი უხეირო სეზონის შემდეგ კვლავ ელიტაში დამკვიდრებას ცდილობს, დაძაბულ პაექრობაში მოუგო დეტროიტს. აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი კაპიტნებმა გაიტანეს: დეტროიტელმა სტივ აიზერმანმა 554-ე შაიბა მიითვალა და ნჰლ-ის ისტორიაში მე-13 ადგილზე მყოფ ჯონ ბიუსიკს გაუტოლდა, თუმცა შაბათს იგი კალიფორნიელმა კოლეგამ დაჩრდილა. 25 წლის მცველისთვის, რომელმაც წინა სამ სეზონში ტრავმების გამო მხოლოდ 92 თამაში ჩაატარა, ეს სეზონი უდავოდ, საუკეთესოა. ბლეიკმა ორჯერ დალაშქრა სტუმართა კარი და ძალიან ახლოს იყო ჰეთ-თრიქთან, მაგრამ ბოლოსწინა წუთზე მისი დარტყმული მეკარე ოსგუდმა მოიგერია.




ბოლო ვინ არის? ჯონ ლეკლერი (10) მეტოქის კარისკენ ურიგოდ მიძვრება

კოლორადოს რიცხვმრავლობის ბრიგადების საუცხოო თამაშმა განაპირობა „ეველანშის“ გამარჯვება აილენდერსთან. სტუმრებმა ოთხივე შაიბა რიცხობრივი უპირატესობის დროს შეაგდეს. გუნდის ლიდერის პეტერ ფორსბერგის (1+2,22) გარდა, თავი გამოიჩინა ოზოლინშმა: შარშან ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო შემტევ მცველად აღიარებულმა ლატვიელმა (წლეულს, ცოტა არ იყოს, ტრავმებმა გაუფუჭა საქმე) ჯერ სამი ზუსტი პასი მიაწოდა პარტნიორებს, შემდეგ კი თავად გაიტანა.

ფლორიდასთან შეხვედრაში ვაშინგტონი მთელი ორი პერიოდის განმავლობაში ისევე უსუსურად თამაშობდა, როგორც ოლიმპიადის შემდგომ გამართულ თითქმის ყველა მატჩში, მაგრამ ბოლო მესამედში გააქტიურდა და გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ ჯო ჟიუნომ (2+2,8) 4 შაიბასაც ჩაუყარა საფუძველი.

ტორონტოელმა „პოლიციელმა“ კრის კინგმა (1+1,2) მისთვის უჩვეულო შედეგიანობით მოაგებინა თავის გუნდს ედმონტონთან, ჩიკაგოელმა დაზემ (24) კი გადამწყვეტი გოლი გაიტანა ბოსტონში.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 80 (29+51), ფორსბერგი (კოლორადო) 78 (22+56), ფრენსისი (პიტსბურგი) 71 (20+51), ბურე (ვანკუვერი) 69 (39+30), სელიანე (ანაჰაიმი) 68 (41+27), ლინდროსი 68 (28+40), ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 66 (39+27), ესილონი (ბოსტონი) 64 (25+39), გრეცკი (რეინჯერსი) 63 (16+47), პალფი (აილენდერსი) 62 (34+28), შტუმპელი (ლოს ანჯელესი) 62 (19+43), ფლერი (კალგარი) 60 (20+40), ოუთსი 59 (13+46), ბონდრა (ორივე — ვაშინგტონი) 58 (37+21), ტკაჩუკი (ფინიქსი) 58 (36+22), რექი (მონრეალი) 58 (25+33), ამონტე (ჩიკაგო) 58 (23+35), ლაფონტენი (რეინჯერსი) 58 (22+36)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| პიტსბურგი | 64 | 32 | 14 | 18 | 182:151 | 78 |
| მონრეალი | 61 | 29 | 7 | 25 | 174:158 | 65 |
| ბოსტონი | 62 | 26 | 13 | 23 | 157:148 | 65 |
| ბუფალო | 61 | 25 | 14 | 22 | 154:146 | 64 |
| ოტავა | 63 | 25 | 10 | 28 | 143:156 | 60 |
| კაროლინა | 62 | 25 | 7 | 39 | 155:172 | 57 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 62 | 39 | 7 | 16 | 180:123 | 85 |
| ფილადელფია | 61 | 32 | 9 | 20 | 178:142 | 73 |
| ვაშინგტონი | 62 | 27 | 11 | 24 | 169:164 | 65 |
| რეინჯერსი | 62 | 19 | 16 | 27 | [illegible]:169 | 54 |
| აილენდერსი | 62 | 22 | 8 | 32 | 162:174 | 52 |
| ფლორიდა | 61 | 18 | 12 | 31 | 147:176 | 48 |
| ტამპა | 62 | 12 | 9 | 41 | 119:205 | 33 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დალასი | 63 | 38 | 10 | 15 | 187:124 | 86 |
| დეტროიტი | 64 | 34 | 13 | 17 | 191:146 | 81 |
| სენტ ლუისი | 65 | 35 | 8 | 22 | 196:156 | 78 |
| ფინიქსი | 63 | 24 | 12 | 27 | 170:179 | 60 |
| ჩიკაგო | 62 | 24 | 11 | 27 | 151:150 | 59 |
| ტორონტო | 61 | 21 | 8 | 32 | 145:178 | 50 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| კოლორადო | 65 | 33 | 16 | 16 | 194:158 | 82 |
| ლოს ანჯელესი | 61 | 28 | 11 | 22 | 176:161 | 67 |
| ედმონტონი | 63 | 23 | 10 | 30 | 160:181 | 56 |
| სან ხოსე | 61 | 24 | 7 | 30 | 152:164 | 55 |
| კალგარი | 62 | 19 | 12 | 31 | 164:189 | 50 |
| ანაჰაიმი | 62 | 20 | 9 | 33 | 146:189 | 49 |
| ვანკუვერი | 63 | 19 | 10 | 34 | 177:223 | 48 |

## ყბა და ნეკნი ვეღარ უძლებს

მარტის პირველ დღეებში ნჰლ-ს ნამდვილი უბედურება დაატყდა თავს. ნიუჯერსელ გილმორს, პიტსბურგელ ბარასოსა და სხვებს კიდევ რამდენიმე დაშავებული მოთამაშე შეემატათ, რამაც გუნდების ხელმძღვანელები აიძულა, მათი შემცვლელნი ფარმ-კლუბებში მოეძიათ. უქმეებზე მძიმედ დაშავდა დალასელი ბენუა ჰოუგი, რომელიც ჩხუბის დროს დაზარალდა (სხვათა შორის, „ვარსკვლავთა“ რიგებში ეს მეხუთე დაშავებულია) და ერთი თვით გამოეთიშა ჩემპიონატს. არც ფილადელფიელ ლინდროსს გაუმართლა, სენტლუისელ დემიტრასა და კოლორადოელ ლერუს კი ნამდვილი კურიოზი შეემთხვათ: ტანმაღალმა ლერუმ (196 სმ) უნებლიედ წაიბორძიკა და ნეკნი დაიზიანა, დემიტრას კი პარტნიორ ელ მაკინისის მიერ დარტყმულმა შაიბამ ყბა ჩაუმტვრია. ისინი ჩემპიონატის ბოლომდე ვერ ითამაშებენ. აქვე გაცნობებთ, რომ ხუთშაბათს ტრავმამიღებული გილმორი ორ კვირას გამოტოვებს.

## კემენი: შეცდომის გასწორება

ახლალა გამოჩნდა ფილადელფიის მესვეურთა შარშანდელი შეცდომა — პლეი-ოფის ფინალში დამარცხების შემდეგ გუნდის მწვრთნელის ტერი მიურეის დათხოვნა და მის ნაცვლად უეინ კეშმენის მიწვევა. 52 წლის კეშმენის კლუბში მისვლამ, რომელიც მანამდე ასისტენტად მუშაობდა რეინჯერსში, ტამპასა და სან ხოსეში, „მფრინავთა“ თამაშს ბევრი რამ დააკლო. მიუხედავად იმისა, რომ ფილადელფია თავის დივიზიონში მეორე ადგილზეა, იგი შარშანდელივით მრისხანე და მებრძოლი როდია. ვერც ერიკ ლინდროსისთვის გამოდგა კეშმენი ფეხბედნიერი — გუნდის მთავარ ვარსკვლავს ვერაფრით მიუღწევია თავის საუკეთესო დონემდე. ბოლოდროინდელმა უიღბლობამ კი საბოლოოდ აავსო კლუბის ხელმძღვანელთა მოთმინების ფიალა და კვირას მათ კეშმენს კარი დაანახეს. მის ადგილს [illegible] ასისტენტი-მწვრთნელი [illegible] ნილსონი დაიკავებს.

## ვაშინგტონში ბებრებს აფასებენ

შარშანდელი პლეი-ოფისთვის „რეინჯერებმა“ „დედლაინზე“ გამოცდილი ესა ტიკანენი მიიწვიეს და ფინელმა ვეტერანმაც, რომელიც 5 სტენლის თასის მფლობელი გახლავთ, 9 გოლი გაიტანა. წელს კი ნიუიორკელებმა აღარ ისურვეს ტიკანენის დატოვება. იგი ფლორიდაში გადავიდა, იქაც დაშავდა, არც შემდეგ წაუვიდა საქმე და კვირას 33 წლის ფორვარდი ვაშინგტონში აღმოჩნდა. დედაქალაქელებს წლეულს პლეი-ოფში გასვლის კარგი შანსი აქვთ, სადაც, გუნდის გენერალური მენეჯერის ჯორჯ მაკფის თქმით, ძალიან დასჭირდებათ გამოცდილი მოთამაშეები.

რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანმა ძველი ქალამნები იპოვა

### ლეიკერსი 91:84 სან ანტონიო

**ლეიკერსი: ფიშერი (17), ჯონსი (11), ფოქსი (17), ჰორი, ონილი (23), ბრაიანტი (7), კემპბელი (14), ბენეტი (2)**

**სან ანტონიო: ჯონსონი (14), დელ ნეგრო (2), უილიამსი (5), დანკანი (21), რობინსონი (23), პერდიუ (4), ჰერერა (8), ჯექსონი (2), პერსონი (2), ბარტონი (3)**

ამ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გუნდის ლიდერები, ცენტრები — დევიდ რობინსონი და შაკილ ონილი. ესენი კარგა ხანია მოედანზე ერთმანეთის მოქიშპენი არიან. მათმა ბრძოლამ კულმინაციას 1993-94 და მომდევნო სეზონებში მიაღწია. 1994 წელს რობინსონი და ონილი ერთმანეთს რეგულარული ჩემპიონატის ბომბარდირობას ეცილებოდნენ. მაშინ გამარჯვება რობინსონს დარჩა. მომდევნო სეზონში კი ბომბარდირის ტიტული ონილმა მოიპოვა. მათი მაშინდელი შედეგიანობა საშუალო 29 ქულას ალემატებოდა, მაგრამ მერე ორივემ მოუკლო, რაც ალბათ ტრავმების ბრალია. რობინსონს კი გასული სეზონი სულაც გაუცდა. ასე რომ, ამ თამაშში მითვლილი 23-23 ქულა მათი შესაძლებლობის ზღვარი არ არის. მიუხედავად ამისა, ლიგის უძლიერესმა ცენტრებმა საკმაოდ გააწვალეს ერთმანეთი. მატჩი გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. პირველი ნახევრის ბოლოს სასწორი მასპინძლების მხარეს გადაიხარა და გამარჯვებაც მათ დარჩათ 44:36. მესამე მეოთხედში უკვე სან ანტონიო გამოფხიზლდა, ახალბედა ტიმ დანკანის მეცადინეობით დანაკლისი შეივსო და ბოლო მეოთხედში მინიმალური სხვაობით 61:60 შეაბიჯა. აქაც თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. სან ანტონიოს გამთამაშებელმა ჯონსონმა მატჩის დამთავრებამდე ხუთნახევარი წუთით ადრე 71:71 გახადა, რის შემდეგაც უკვე ლეიკერსმა გამოიღო ხელი. ეს განსაკუთრებით ძირითადი გამთამაშებლის ვან ექსელის შემცვლელ დერიკ ფიშერზე ითქმის. მან ლეიკერსის ბოლო 20 ქულიდან 10 თავის ანგარიშზე ჩაიწერა და თავის გუნდს მოაგებინა.



შაკილ ონილს (შუაში) „ფერება“ არ აკლია

6 მარტი

### ბოსტონი 108:98 ვაშინგტონი

**ბოსტონი: უოლკერი (35+13 მოხსნა), მერსერი (24)**

**ვაშინგტონი: უებერი (23), სტრიკლენდი (23), მიურეი (22)**

ბრწყინვალედ ითამაშა ბოსტონის თავდამსხმელმა ანტუან უოლკერმა. მან პირადად მოაგებინა გუნდს და 7 იანვარს ვაშინგტონში დამარცხებისთვის ღირსეული რევანში აიღო. მაშინ, მიუხედავად უოლკერის კარგი თამაშისა, ბოსტონმა შეხვედრა 108:110 დათმო. უოლკერმა მაშინ 49 ქულით კარიერის რეკორდი დაიმყარა.

### ორლანდო 91:89 კლივლენდი

**ორლანდო: ანდერსონი (25), ოუთლოო (22)**

**კლივლენდი: ანდერსონი (20), კემპი (19)**

ორივე გუნდში საუკეთესონი ანდერსონები იყვნენ. კლივლენდელმა ანდერსონმა ძირითადი დროის ამოწურვამდე სამნახევარი წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო და თავისიანები წაგებას გადაარჩინა, მაგრამ მარცხი ვერ აიცილა ოვერტაიმში, სადაც 14 წამით ადრე გადამწყვეტი ბურთი დერიკ ჰარპერმა ჩააგდო.

### ფილადელფია 80:71 ნიუ იორკი

**ფილადელფია: კოულმენი (22+11 მოხსნა), აივერსონი (22)**

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (18), უორდი (17)**

ნიუ იორკს ფილადელფიაში ბოლო ოთხ მატჩში სამჯერ წაეგო და საშველი არც ახლა ჩანდა. მასპინძლებმა საწყისი მეოთხედი 9 ქულით მოიგეს, სტუმრებს კი 12 წუთში 13 ქულა ჩააგდებინეს. საბოლოოდ ატლანტის დივიზიონის მეშვიდე გუნდმა იოლად სძლია ამავე დივიზიონის მეორე გუნდს, რომელმაც სეზონში ყველაზე ცოტა — 71 ქულა ჩაუგდო მეტოქეს. ნიუ იორკის მწვრთნელმა ჯეფ ვან განდიმ დაიჩივლა, ისინი ყოველთვის გვჯობნიდნენო.

### ატლანტა 115:94 დენვერი

**ატლანტა: ლეიტნერი (21), კორბინი (19)**

**დენვერი: ნიუმენი (23)**

ატლანტას ყველაზე უსუსური გუნდის დამარცხება სტივ სმიტის გარეშეც არ გასჭირვებია.


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge


### შარლოტი 104:98 სიეტლი

**შარლოტი: რაისი (29), მაქსველი (22)**

**სიეტლი: ბეიკერი (25), პეიტონი (22)**

მატჩის დამთავრებამდე 52 წამით ადრე გერი პეიტონმა ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა და სულ ეს იყო, რაც დასავლეთის უძლიერესმა გუნდმა შეძლო. სიეტლმა ზედიზედ მეორედ წააგო, რაც ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ მოხდა. შარლოტელმა ენტონი მეისონმა წლეულს ყველაზე მეტი — 17 ბურთი მოხსნა ფარიდან, მისმა გუნდმა კი 48:20 იმარჯვა ამ საქმეში. თამაშში 20 მოხსნა სიეტლის ყველა დროის ანტირეკორდი გახლავთ.

### მინესოტა 113:91 ტორონტო

**მინესოტა: გარნეტი (26+10 მოხსნა), მარბერი (17+12 პასი)**

**ტორონტო: ბილაპსი (20), უოლესი (18)**

### ნიუ ჯერსი 115:122 იუტა

**ნიუ ჯერსი: კასელი (29), ვან ჰორნი (23), კიტლზი (22)**

**იუტა: მელოუნი (32+12 მოხსნა), ჰორნაჩეკი (23)**

ნიუ ჯერსიმ თამაშიდან სროლების 50 პროცენტი ჩააგდო, მაგრამ მეტოქემ მასზე მეტის — 60 პროცენტის ჩაგდება მოახერხა. კარგად გაისარჯა იუტას ლიდერთა სამეული (მელოუნ-სტოქტონ-ჰორნაჩეკი) და იუტამ აღმოსავლელებთან 25-ე თამაშში მე-20 გამარჯვება მოიპოვა.

### გოლდენ სტ. 87:101 ინდიანა

**გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (23), კაფი (21+11 მოხსნა)**

**ინდიანა: სმიტსი (21), მილერი (19)**

### ვანკუვერი 96:98 საკრამენტო

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (30+10 მოხსნა), რივზი (26)**

**საკრამენტო: რიჩმონდი (32), უილიამსონი (23)**

სტუმრებს ბილი ოუენსმა მოაგებინა (15 ქულა, 15 მოხსნა), რომელმაც 13,2 წამით ადრე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო. ვანკუვერელ პეტ ჩილქათს შეეძლო, მატჩი ეხსნა, მაგრამ 1,2 წამით ადრე ააცილა.

7 მარტი

### ფინიქსი 89:108 ჰიუსტონი

**ფინიქსი: ჯონსონი (19+10 პასი), კიდი (18)**

**ჰოუსტონი: დრექსლერი (21), ოლაჯუონი (20+13 მოხსნა), ბალარდი (20)**

ჰიუსტონელმა ბარკლიმ თავის ყოფილ გუნდს 15 ქულა ჩაუგდო და ამას 12 მოხსნაც დაურთო. მატჩის ბოლოს ბარკლიმ მოთამაშის გარდა გამშველებლის მოვალეობაც იკისრა. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ფინიქსელმა ანტონიო მაკდაიესმა (13 ქულა), გაბრაზებულმა, სამარცხვინოდ რად ვაგებთო, ნერვები ველარ მოთოკა და ჰიუსტონის ბებერ ცენტრ ჰაკიმ ოლაჯუონს ბარაქიანი მუშტი უთავაზა. ატყდა ერთი გაწევ-გამოწევა და, ბარკლი, რომელიც ლიგაში ყველაზე მოჩხუბარ ბიჭად ითვლება, ფინიქსის მწვრთნელ დენი ეინჯის დაკავებას მოუნდა. საბოლოოდ მაკდაიესიცა და ოლაჯუონიც მოედნიდან მიაბრძანეს, ჰიუსტონმა კი საქმე წყნარად მიიყვანა ბოლომდე.

### მილუოკი 92:110 იუტა

**მილუოკი: ალენი (27+11 პასი)**

**იუტა: მელოუნი (40)**

### დალასი 88:94 მაიამი

**დალასი: ფინლი (24)**

**მაიამი: ჰარდევეი (27), მურნინგი (21+16 მოხსნა)**

მატჩის დამთავრებამდე 53 წამით ადრე მასპინძელმა ფინლიმ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა 86:87, რის შემდეგაც ტიმ ჰარდევეიმ სამქულიანი ჩააგდო. ამ დეფიციტის დაფარვა წყალწაღებული დალასისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

8 მარტი

### დენვერი 89:100 კლიპერსი

**დენვერი: ელისი (20+10 მოხსნა)**

**კლიპერსი: პიატკოვსკი (29), მიურეი (19)**

საცოდავი დენვერისთვის კლიპერსის დარ გუნდებთან მოგებაც კი მიუწვდენელ ოცნებად იქცა. ეს მარცხი მისთვის ზედიზედ მე-14 იყო.

### ვაშინგტონი 100:91 ფილადელფია

**ვაშინგტონი: სტრიკლენდი (26+10 პასი), უებერი (23)**

**ფილადელფია: კოულმენი (21)**

### ნიუ იორკი 89:102 ჩიკაგო

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (24), ჯონსონი (20)**

**ჩიკაგო: ჯორდანი (42), პიპენი (25)**

პირთამდე გაჭედილ „მედისონ სკვერ გარდენში“ 19763 კაცის წინაშე ლეგენდარული ჯორდანი, რომელიც ამ ბოლო დროს ჩვეულად ველარ ირჯება, თავისი ახალბედობის დროინდელი „ბოტასებით“ წარდგა, ვინძლო, ახლა უკეთ ვითამაშოო. დახეთ საოცრებას, იგი მართლაც ძველ ჯორდანად იქცა და 42 ქულა მიითვალა. მას ამ სეზონში 9-ჯერ, ხოლო კარიერაში 192-ჯერ გადაუბიჯებია 40 ქულისთვის.

### ნიუ ჯერსი 100:109 შარლოტი

**ნიუ ჯერსი: კიტლზი (21), კასელი (20+10 პასი), ვან ჰორნი (20)**

**შარლოტი: რაისი (31), გეიგერი (18)**

ჯეისონ უილიამსის გარეშე მოთამაშე ნიუ ჯერსი პირველ ნახევარში კი შეეცადა, მაგრამ მეორე 20 ქულით დათმო და საბოლოოდ ზედიზედ მეოთხედ შერცხვა. შარლოტმა კი ზედიზედ მოგებული მატჩების სერია შვიდამდე გაზარდა.

### ინდიანა 104:100 ბოსტონი

**ინდიანა: მილერი (25)**

**ბოსტონი: ანდერსონი (17+12 პასი)**

ინდიანას მწვრთნელმა ლარი ბერდმა თავისი ბიჭები სწორედ იმ ბოსტონის წინააღმდეგ გაიყვანა, რომელშიც 12 სეზონი გაუტარებია და სამჯერ ჩემპიონიც გაუხდია. ამჟამად საკმაოდ მოსუსტებულმა ბოსტონმა ინდიანას გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია და მოგებამდე ცოტაღა დააკლდა. ინდიანელმა დეილ დევისმა სეზონში ყველაზე მეტი — 22 ქულა გაახერხა.

### ლეიკერსი 96:89 დეტროიტი

**ლეიკერსი: ონილი (32+13 მოხსნა), ფოქსი (22)**

**დეტროიტი: სტეკჰაუზი (23)**

### ვანკუვერი 113:106 ტორონტო

**ვანკუვერი: რივზი (38+11 მოხსნა)**

**ტორონტო: ბრაუნი (21)**

ორი კანადური გუნდის შერკინებაში მასპინძელმა იმარჯვა ბრაიან რივზის წყალობით. რივზმა კარიერის რეკორდი დაამყარა და ბოლო მეოთხედში 3-ქულიანი ჩამორჩენა 7-ქულიან უპირატესობად აქცია.

### ატლანტა 101:96 კლივლენდი

**ატლანტა: სმიტი (33)**

**კლივლენდი: პერსონი (26)**

### პორტლენდი 78:82 სან ანტონიო

**პორტლენდი: რაიდერი (23)**

**სან ანტონიო: დანკანი (25+13 მოხსნა)**

მიუხედავად იმისა, რომ პორტლენდმა წააგო, მისმა ლიტველმა ცენტრმა არვიდას საბონისმა (23 ქულა, 17 მოხსნა) აშკარად დაჩაგრა დევიდ რობინსონი (11 ქულა), რომელსაც ბევრი ნომერ პირველ ცენტრად მიიჩნევს.

### მინესოტა 98:99 სიეტლი

**მინესოტა: მიჩელი (21), ჰილერი (20)**

**სიეტლი: ბეიკერი (27+12 მოხსნა), პეიტონი (22)**

ძირითადი დროის ამოწურვამდე 23,3 წამით ადრე მინესოტელმა მარბერიმ (15 ქულა, 13 პასი) ორი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანებიც და მეტოქეც ოვერტაიმისთვის გაწირა. აქ კი 8,9 წამით ადრე ვინ ბეიკერმა ჩააგდო და სტუმრებს მოაგებინა. ამ სეზონში ორი მოგება ერთ გუნდს დარჩა, ორიც — მეორეს. თუ ჰიუსტონი მინესოტას გაასწრებს, ღლევანდელი მეტოქეები ერთმანეთს ალბათ პლეი-ოფშიც დაეჯახებიან.



ჯორდანმა ორმოცს ისევ გადააბიჯა

**ირაკლი ფირაშვილი**



გარნეტმა ცოტა დაისვენა

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 43 | 19 | 69,4 |
| ნიუ იორკი | 34 | 25 | 57,6 |
| ნიუ ჯერსი | 33 | 28 | 54,1 |
| ორლანდო | 31 | 29 | 51,7 |
| ვაშინგტონი | 31 | 30 | 50,8 |
| ბოსტონი | 29 | 31 | 48,3 |
| ფილადელფია | 21 | 37 | 36,2 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 44 | 16 | 73,3 |
| ინდიანა | 42 | 18 | 70,0 |
| შარლოტი | 37 | 23 | 61,7 |
| ატლანტა | 35 | 24 | 59,3 |
| კლივლენდი | 32 | 28 | 53,3 |
| მილუოკი | 29 | 30 | 49,2 |
| დეტროიტი | 27 | 33 | 45,0 |
| ტორონტო | 13 | 46 | 22,0 |

### დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 43 | 16 | 72,9 |
| სან ანტონიო | 40 | 20 | 66,7 |
| მინესოტა | 32 | 28 | 53,3 |
| ჰიუსტონი | 30 | 30 | 50,0 |
| ვანკუვერი | 14 | 45 | 23,7 |
| დალასი | 13 | 48 | 21,3 |
| დენვერი | 5 | 46 | 8,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 45 | 14 | 75,0 |
| ლეიკერსი | 41 | 18 | 69,5 |
| ფინიქსი | 39 | 21 | 65,0 |
| პორტლენდი | 34 | 24 | 58,6 |
| საკრამენტო | 26 | 36 | 41,9 |
| გოლდენ სტეიტი | 13 | 47 | 21,7 |
| კლიპერსი | 12 | 47 | 20,3 |


სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29